საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი-ხუთშაბათი, 16-17 ივნისი . 2021 წ. №131-132 (9250-9251) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

წინ, წინაპრებისკენ!



ძლევაი საკვირველი

ალმაშენებელი! – ამ ერთი ღონიერი, მრავლისმეტყველი სიტყვით გამოხატა ქართველმა ხალხმა მეფეთ-მეფის დავითა IV-ის დამსახურება.

რაც უფრო ხშირად ჩავუფიქრდებით ამ დიდი პიროვნების ცხოვრებასა და მოღვაწეობას, რაც უფრო ხშირად წავიკითხავთ მემატიანეთა და მართალ ისტორიკოსთა შეფასებებს, მით უფრო ადვილად მივალთ იმ აზრამდე, რომ მეფემ თავისი ღვთივმომადლებული გონიერებით, სულიერი სიმტკიცით, ტიტანური შრომით ერთად მოუყარა თავი ქართველობას, „დაუნდობელ მტერთაგან აოხრებული ქვეყანა ააშენა, მტერი გაუფრთხო და გაუფანტა, და დღეს თუ ჩვენ ჩვენ ბინაზედ ვართ – ეს დავით აღმაშენებლის ღვაწლია... უკეთესნი და უდიდესნი შემოქმედნი ერისა ხომ სხვა არა არიან – რა, თუ არა ერის გულისნადების და წყურვილის გამომეტყველნი და გამახორციელებელნი“ (ილია ჭავჭავაძე).

დღეს ვიწყებთ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, აკადემიკოს **როინ მეტრეველის** ახალი ნარკვევის ბეჭდვას, რომელიც დიდგორის ომის 900 წლისთავს ეძღვნება და რომელიც კიდევ ერთხელ დაგვარწმუნებს იმაში, რომ დავით აღმაშენებლის საოცარი მაგალითით ცხოვრება, ბრძოლა და შრომა დღესაც ჰაერივით გვჭირდება!

მაშ, წინ წინაპრებისკენ!, საქართველო დღესაც გადასარჩენია!

მთავარი რედაქტორი

როინ მეტრეველი:

დიდგორის ბრძოლა

6



7

ირაკლი ღარიბაშვილი ეუთოს გენერალურ მდივანს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, გუშინ ევროპის უსაფრთხოების და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) გენერალურ მდივანს ჰელგა მარია შმიდს შეხვდა.

პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრაზე საქართველოსა და ეუთოს შორის თანამშრომლობის საკითხები განიხილეს. ხაზი გაესვა ეუთოს მნიშვნელოვან ჩართულობას საქართველოში კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებისა და ომით გაყოფილ მოსახლეობას შორის ნდობის აღდგენის პროცესში. პრემიერ-მინისტრმა ეუთოს გენერალურ მდივანს ამ მიმართულებით გაწეული ძალისხმევისთვის მადლობა გადაუხადა. ხაზი გაესვა ეუთოს თანათავმჯდომარეობის როლს ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში და ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფორმატში.

პრემიერმა ხაზი გაუსვა ზაზა გახელაძისა და ყველა სხვა უკანონოდ დაკავებული საქართველოს მოქალაქის დაუყოვნებლივ და უპირობოდ გათავისუფლების საკითხის დაყენებას ყველა დონეზე, მათ შორის ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფორმატში. ხაზგასმით აღინიშნა, რომ მიუხედავად უსაფრთხოების და ჰუმანიტარული კუთხით არსებული რთული გამოწვევებისა, საქართველოს მთავრობა კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისა და ქვეყნის დემოკრატიული განვითარების პროცესის ერთგული რჩება.

„რატომ აკრიტიკებს კობახიძეს და არა ივანიშვილს?“

5

როგორ იყენებს კრემლი ჰიბრიდულ ომში რუსულ პასპორტებს საქართველოსა და უკრაინის წინააღმდეგ

5

ლევან ვასაძე:

მიიღეთ კანონი „გარყვნილების პროპაგანდის აკრძალვის შესახებ“

3

შეიძლება, ყოველწლიურად მოგვიწიოს ვაქცინაცია

5

ექსპერტი თბილისის ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის მერიის გაწეულ სამუშაოს აფასებს

„ეს უზარმაზარი შრომაა, რომელსაც დანახვა უნდა“

4

ირაკლი ღარიბაშვილი: ჩრდილოატლანტიკური ალიანსი აქტიურად მონაწილეობს საქართველოში მდგრადობის ზრდის ძალისხმევაში

ცხადი ხდება, რომ თანამედროვე ჰიბრიდული ომის რთული არსი გაერთიანებულ ძალისხმევას და ჩვენი პარტნიორების მხარდაჭერას საჭიროებს. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სამიტი 2021 წელს აქცენტირებული იყოს 2030 წლის სამიტის დღის წესრიგზე, რომელიც ალიანსის ახალი სტრატეგიული კონცეფციის საფუძველი გახდება, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ბრიუსელის ფორუმზე მიმართვისას განაცხადა, რომელშიც მსოფლიოს ლიდერებთან ერთად მიიღო მონაწილეობა. ინფორმაციას მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახური ავრცელებს.

მთავრობის მეთაურის თქმით, ისეთი საკითხები, როგორიცაა შესაძლებლობების მოდერნიზაცია, კოლექტიური თავდაცვის გაძლიერება გაზრდილი მზაობის მეშვეობით, ალიანსის მასშტაბით მდგრადობის მიზნების შემუშავება და პარტნიორების მდგრადობის მხარდაჭერა, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის 2030 სამიტის დოკუმენტებში საკვანძო საკითხებადაა გაწერილი.

„ჩვენ ასევე მივესალმებით, რომ ალიანსის ღია კარის პოლიტიკის განახლება წარმოადგენს დოკუმენტის ერთ-ერთ მთავარ რეკომენდაციას და იმედი გვაქვს, რომ ეს პოლიტიკა ეფექტურად გაგრძელდება მომდევნო წლებში. წლების განმავლობაში ჩრდილოატლანტიკური ალიანსი აქტიურად ახორციელებს ინვესტიციებს და მონაწილეობს საქართველოში მდგრადობის ზრდის ძალისხმევაში. ჩვენ მზად ვართ, ამ მიმართულებით კიდევ უფრო გავაღრმავოთ თანამშრომლობა ალიანსთან. ასპირანტი საქართველოსთვის ეს დღის წესრიგი კიდევ უფრო მეტად აქტუალურია, რადგან ჩვენ ალიანსის წევრობისთვის ვემზადებით. რაც უფრო მდგრადია თითოეული თანამოაზრე პარტნიორი და წევრი, მით უფრო ძლიერია ჩრდილოატლანტიკური ალიანსი. ეს არის ერთადერთი გზა თავისუფლებისა და მშვიდობისმოყვარე ერების ღირებულებათა სისტემების ბრძოლაში გასამარჯვებლად“, — აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ბრიუსელის ფორუმზე, რომელიც 14-18 ივნისს მიმდინარე ნატოს სამიტის ფარგლებში იმართება, ირაკლი ღარიბაშვილი წამყვან სპიკერად არის დასახელებული ნატო-ს გენერალურ მდივან იენს სტოლტენბერგთან და მსოფლიო ლიდერებთან ერთად, რომელთა შორის იმყოფებიან თურქეთის პრეზიდენტი რეჯეფ ტაიფ ერდოღანი, კანადის პრემიერ-მინისტრი ჯასტინ ტრუდო, გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი, ბელგიის პრემიერ-მინისტრი ალექსანდერ და კრო, ესტონეთის პრემიერ-მინისტრი კაია კალასი, საბერძნეთის პრემიერ-მინისტრი კირიაკოს მიცოტაკისი და სლოვაკეთის პრეზიდენტი ზუზანა ჩაპუტოვა.

ბრიუსელის ფორუმი თემატური პანელებისგან შედგება. საქართველოს მთავრობის მეთაური სიტყვით გამოვიდა პანელზე, სახელწოდებით Investing in Resilience, რომლის ფარგლებშიც ყურადღება გამახვილდა ნატოს მოკავშირეებს შორის მდგრადობის ინტეგრირებულ და კოორდინირებულ მიდგომაში ინვესტირების მნიშვნელობაზე.

რა წერია ნატოს სამიტის კომუნიკეში საქართველოს თაობაზე

ნატოს ლიდერების მიერ მიღებულ ერთობლივ კომუნიკეში საქართველოზეც არის საუბარი. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ალიანსის ლიდერები ბუქარესტის სამიტის ერთგულნი რჩებიან.

„ჩვენ კიდევ ერთხელ ვიმეორებთ 2008 წელს ბუქარესტის სამიტზე მიღებულ გადაწყვეტილებას, რომ საქართველო გახდება ალიანსის წევრი წევრობის სამოქმედო გეგმის (ძფზ) მიღებასთან ერთად, რომელიც გაწევრიანების პროცესის განუყოფელი ნაწილია; ჩვენ კიდევ ერთხელ ვადასტურებთ ამ გადაწყვეტილების ყველა ელემენტს, ნებისმიერი პარტნიორი შეფასდება საკუთარი დამსახურების მიხედვით. ალიანსი მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს უფლებას, თავად გადაწყვიტოს საკუთარი მომავალი და საგარეო პოლიტიკის კურსი, რომელიც გარე ჩარევისგან თავისუფალი იქნება. როგორც „გაძლიერებული შესაძლებლობების პარტნიორი“, საქართველო მჭიდროდ თანამშრომლობს ალიანსთან ბევრი მიმართულებით. ჩვენ ძალიან ვაფასებთ საქართველოს მიერ ნატოს ოპერაციებში შეტანილ მნიშვნელოვან წვლილს, რაც აჩვენებს მის ერთგულებას ხელი შეუწყოს ევროატლანტიკურ უსაფრთხოებას. მივესალმებით 19 აპრილის პოლიტიკურ შეთანხმებას და მხარს ვუჭერთ მის სრულფასოვნად განხორციელებას. ეს შეთანხმება გზას უხსნის მნიშვნელოვან რეფორმებს, რომელიც დაეხმარება საქართველოს — ასპირანტ ქვეყანას, გაწევრების პროცესში მომზადებაში. ჩვენ მზად ვართ, ნატო-საქართველოს კომისია და ყოველწლიური ეროვნული პროგრამა სრულად გამოვიყენოთ პოლიტიკური დიალოგისა და თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით. ალიანსი მიესალმება რეფორმების კუთხით საქართველოს მიერ მიღწეულ მნიშვნელოვან პროგრესს და ეს რეფორმები უნდა გაგრძელდეს, ეს ეხმარება საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ამაღლებასა და ნატოსთან თავსებადობაში. საქართველოს ურთიერთობა ალიანსთან შეიცავს ყველა პრაქტიკულ ინსტრუმენტს საბოლოო წევრობისთვის მომზადებისთვის. ჩვენ მჭიდროდ ვთანამშრომლობთ საქართველოსთან შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების საკითხებზე, რუსეთის მზარდი დესტაბილიზაციის აქტივობების საპასუხოდ და მივესალმებით „ნატო-საქართველოს პაკეტის“ განახლების ფაქტს. ჩვენ მზად ვართ, გავაძლიეროთ საქართველოს მხარდაჭერა, მათ შორის, ჰიბრიდული საფრთხეების წინააღმდეგობის გაწევის კუთხით, ტრენინგებისა და წვრთნების მიმართულებით. მოუთმენლად ველით, ნატო-საქართველოს მორიგ სწავლებას 2022 წელს“, — ნათქვამია კომუნიკეში.

ამასთან, დოკუმენტში გამოხატულია მხარდაჭერა საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვას ტერიტორიული მთლიანობისადმი.

„ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს, უკრაინის და მოლდოვას ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად, მოვუწოდებთ რუსეთს, გაიყვანოს ძალები, რომლებიც დისლოცირებული ჰყავს სამივე ქვეყანაში მათი ნებართვის გარეშე. ჩვენ მოვუწოდებთ რუსეთს, უკან წაიღოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარება, შეასრულოს ევროკავშირის მედიაციით 2008 წელს ხელმოწერილი ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება, შეწყვიტოს ამ რეგიონების მილიტარიზაცია და ძალისმიერი მცდელობა, დააშოროს ეს რეგიონები დანარჩენ საქართველოს, რასაც რუსეთი აგრძელებს ხელოვნური ბარიერების მშენებლობის გზით. ასევე, მოვუწოდებთ რუსეთს, შეწყვიტოს ადამიანის უფლებების დარღვევები, უკანონო დაკავებები და საქართველოს მოქალაქეების შევიწროება. ჩვენ კიდევ ერთხელ გამოვხატავთ ჩვენს მტკიცე მხარდაჭერას ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებისადმი“, — ნათქვამია ნატოს კომუნიკეში.

მიზანი მიღწეულია... მადლობა საქართველოს!!!

ეუთოს გენერალურმა მდივანმა სომხეთ-აზერბაიჯანს შორის გაწეული ფასილიტაციისთვის საქართველოს მთავრობას მადლობა გადაუხადა. განცხადება ამის შესახებ ჰელგა მარია შმიდმა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან შეხვედრის შემდეგ გააკეთა.

გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, რომ მიზანი მიღწეულ იქნა ბევრი აქტორის ეფექტური თანამშრომლობის შედეგად.

„მინდა მადლობა გადავუხადო საქართველოს მთავრობას იმ ფასიტილაციისთვის რაც მან გასწია მის მეზობლებს სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ნდობის აღდგენის კუთხით. ეს იყო სხვადასხვა აქტორებს შორის არაჩვეულებრივი თანამშრომლობის მაგალითი, მათ შორის ევროკავშირსა და შვედეთის ხელმძღვანელობით ეუთოს მონაწილეობით. ჩვენ ვისაუბრეთ სამხრეთ კავკასიაში რეგიონალური თანამშრომლობის შესახებ, სადაც ეუთო დარჩება ძალიან აქტიურად ჩართული“, — განაცხადა ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა.

ელჩი თანამემამულე ინვესტორებს საქართველოში ეპატიჟება

ჩვენთვის მთავარია მოვახდინოთ დამაკავშირებელი არხების გაძლიერება აზიის ქვეყნებსა და საქართველოს შორის. ვცდილობთ იაპონელი ინვესტორები მოვიზიდოთ, რომლებსაც სურთ საქართველოში გარკვეული საქმიანობა განახორციელონ, — ამის შესახებ იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, იმამურა აკირამ, პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

„ერთობლივი ძალისხმევის შედეგია ქუთაისისა და დარიალის პროექტები რომელიც იაპონიისა და საქართველოს თანამშრომლობით განხორციელდა. ამგვარი ინვესტიციები მომავალშიც განხორციელდება. ჩვენ გვაქვს დადებული ხელშეკრულება საგანგებო საგადასახადო რეჟიმის შესახებ, რათა მაღალი ინვესტიციების განხორციელებისას თავიდან იქნას აცილებული ორმაგი დაბეგვრა“, — განაცხადა იაპონიის ელჩმა.

ვაქცინაციის პროგრამის განხორციელების ოპერატიული გეგმა

ვაქცინაციის პროგრამის განხორციელების ოპერაციული გეგმა დაამტკიცეს უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე, რომელიც საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით გაიმართა. ამის შესახებ ინფორმაციას მთავრობის ადმინისტრაცია ავრცელებს.

უწყების ცნობით, ვაქცინაციის პროგრამის განხორციელების ოპერაციული გეგმა მოიცავს, როგორც ვაქცინაციის ბრიგადების რაოდენობის გაზრდის ნაწილს, ისე სხვა ღონისძიებებს, რომლებიც აუცილებელია ვაქცინაციის პროგრამის გაფართოებისთვის, მათ შორის დამატებითი სამედიცინო დაწესებულებების ჩართვას ვაქცინაციის პროცესში, ასევე ჯანდაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული კრიტერიუმების შესაბამისად, საზოგადოებრივ სივრცეებში მასობრივი ვაქცინაციის ცენტრების ორგანიზებას.

მასობრივი ვაქცინაციის ცენტრების მობილიზება საქართველოს მასშტაბით, დიდ ქალაქებში იგეგმება და ამ პროცესში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებიც ჩაერთვებიან. ამასთან, უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, სრულად ვაქცინირებული პირებისთვის, რეგულარული ტესტირება სავალდებულო აღარ იქნება.

საბჭოს წევრებმა ასევე განიხილეს ქვეყანაში ვაქცინების დამატებითი დოზების შემოსვლის ვადები. აღინიშნა, რომ სხვადასხვა დასახელების ვაქცინის შემოსვლა ქვეყანაში ივლისიდან, ეტაპობრივად დაიწყება და წლის ბოლომდე, საქართველოში ჯამში მობილიზებული იქნება 3,6 მილიონზე მეტი ვაქცინა. იმუნიზაციის პროცესის გააქტიურების პარალელურად, ვირუსის გავრცელების პრევენციისთვის კვლავ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებებად რჩება პირბადის ტარება, სოციალური დისტანციის დაცვა და ხალხმრავალი შეკრებებისთვის თავის არიდება.

საქართველოში კორონავირუსის პირველი შემთხვევის გამოვლენიდან დღემდე, ვირუსით ინფიცირების 355 368 ლაბორატორიულად დადასტურებული შემთხვევა გამოვლინდა, საიდანაც 341 103 პირი გამოჯანმრთელდა, გარდაცვლილია 5 083 ადამიანი. ამ ეტაპზე კარანტინში იმყოფება 34 ადამიანი, კლინიკურ სასტუმროებში - 595 მოქალაქე, ხოლო სტაციონარში, მეთვალყურეობის ქვეშ — 3059 პირი.

პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით მოქმედი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მუშაობაში აქტიურად მონაწილეობენ საქართველოს პარლამენტი, თავმჯდომარე კახა კუჭავას ხელმძღვანელობით და პრეზიდენტის ადმინისტრაცია.

„რატომ აკრიტიკებს კობახიძეს და არა ივანიშვილს?“

სკანდალურად **გადამდგარი ყოფილი პრემიერი აშკარად ებრძვის ირაკლი კობახიძეს, ეპითეტებს არ იშურებს მისთვის. გიორგი გახარიას აზრით, კობახიძე „შეშინებული კაცია, თავისი ბოდვითი აზრებით“, მაგრამ იგივე გახარია ბიძინა ივანიშვილთან მიმართებით თავშეკავებულია, მიუხედავად იმისა, რაც არ უნდა თქვას ივანიშვილმა მასზე და როგორი იარლიყებითაც არ უნდა შეამკოს.**

რას ნიშნავს სამიზნედ ერთი ძირითადი ადრესატის, ანუ ირაკლი კობახიძის ამორჩევა? შეგვიძლია, ვიფიქროთ, რომ კობახიძის „ქართული ოცნება“ სხვა არის და ბიძინა ივანიშვილის „ქართული ოცნება“ სხვა?

ანალიტიკოსი **დავით ზარდიაშვილი** მიიჩნევს, რომ გიორგი გახარიას მხრიდან ბიძინა ივანიშვილის დანდობას ერთი მიზანი აქვს. კერძოდ, გახარია მაინც ორიენტირებულია „ქართული ოცნების“ ამომრჩეველზე, რადგან „ნაცები“ მას ხმას არასდროს მისცემენ. ამიტომ პირდაპირ ბიძინა ივანიშვილი რომ ლანძღოს, ანუ უპასუხოს იმას, რაც ბიძინამ გააკეთა (და ბიძინამ ის შეარცხვინა, სამარცხვინო უწოდა მის ქცევას), ის დაკარგავს ყველანაირ ელექტორალურ მხარდაჭერას. ანუ „ოცნების“ წიაღში ვინც არის, ისინი გახარიას ბიძინას ლანძღვას არ აპატიებენ.

„ირაკლი კობახიძეს რომ არტყამს, ეს მარტივად ასახსნელია. ბიძინა ივანიშვილმა დატოვა პერსპექტივა „ქართული ოცნებისთვის“, რომ ერთ დროს ივანიშვილის გარშემო პირად ურთიერთობებზე დამყარებული პოლიტიკური გაერთიანებიდან „ქართული ოცნება“ გადაწყობილიყო საქმის ინტერესებზე ორიენტირებულ პარტიად. ირაკლი კობახიძის დაწინაურება ამ მხრივ იყო კონცეპტუალური ნაბიჯი. ირაკლის სახით ბიძინა ცდილობს, არა პირად ურთიერთობებზე, არამედ საქმის ინტერესებზე ააგოს პოლიტიკური პარტია, გახარიას კი ისევ პირად ურთიერთობებზე გადაჰყავს ყველაფერი. გახარიას გარშემო შემოკრებილი ხალხიც ეს არის ბიუროკრატიის პატრიმონიალური ნაწილი, რომელიც კარიერას პირადი ურთიერთობებით აგებს და არა საკუთარი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე. ეს ორი მიმართულებაა და „ქართული ოცნების“ შიგნით კონფლიქტი ამას შეიძლება დავუკავშიროთ“, — აცხადებს დავით ზარდიაშვილი ჩვენთან საუბრისას.

მისივე აზრით, ირაკლი კობახიძე გუნდს განასახიერებს, ბიძინა რომ წავიდა და კობახიძე დატოვა პარტიის თავმჯდომარედ, სწორედ ამას ვარაუდობდა, რომ ეს როლი გადაიბარა ერთმა ადამიანმა კი არა, არამედ გარკვეულმა ინსტიტუციამ.

„გახარია ამის საწინააღმდეგოდ მოქმედებს. ის გახლავთ ექსტრავერტული ფსიქოლოგიური ტიპი, რომელიც ლიდერია, პიროვნულ ხიბლზეა აგებული მისი გავლენები, საქმის ინტერესებს აწყობდა კიდეც გარკვეულ ეტაპზე გახარია, მაგრამ, როცა საქმე საქმეზე მიდგა, მან მოვლენები პიროვნულად ვერ გადახარშა და შეიძლება სწორედ ამან მიიყვანა ღალატამდე. ასე თუ ისე, ეს იყო ღალატი, ეს ღალატი იყო დანაშაულებრივ ამბოხებაში მონაწილეობა, თუ არ იყო, რაც ირაკლი კობახიძემ გამოთქვა ეჭვის სახით, ამას გარკვევა სჭირდება. შეიძლება ეს იყო დანაშაულებრივ ანტისახელმწიფოებრივ ამბოხებაში გარკვეული როლის თამაში. რასაკვირველია, ამას გამოძიების გარეშე ხელაღებით ვერავინ დაამტკიცებს“, — მიიჩნევს დავით ზარდიაშვილი.

ანალიტიკოს **ნიკა ჩიტაძის** აზრით, გიორგი გახარია ბიძინა ივანიშვილთან ხიდებს არ წვავს, შესაძლოა, გახარია ცდილობს, ისეთი სცენარი გაათამაშოს, რომ ის არის რეალური ძალა, რომელსაც შეიძლება ბიძინა ივანიშვილი დაეყრდნოს და არა ირაკლი კობახიძე, ან ირაკლი ღარიბაშვილი.

„შესაძლებელია, გავიზიაროთ ის აზრი, რომ გახარია პირველი ვეზირობისთვის იბრძვის მეორე ვეზირის, ანუ კობახიძის ჩასაძირად. ამის მიზანი კი ის არის, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ გახარიამ დაფინანსება ივანიშვილისგან მიიღოს. ალბათ, ივანიშვილს იგი მაინც პოტენციურ დონორად განიხილავს. ამიტომ ივანიშვილთან დაპირისპირება არ აწყობს, მას არ აკრიტიკებს, რადგან დე ფაქტო ლიდერი იყო და, ალბათ, დღესაც დე ფაქტო ლიდერად რჩება ივანიშვილი. თორემ მართლაც ჩნდება კითხვა, რატომ აკრიტიკებს კობახიძეს და არა ივანიშვილს? კობახიძისგან იგი არ ელოდება თანხების მოზიდვას საკუთარი პოლიტიკური პარტიისთვის, თუმცა ივანიშვილისგან თეორიულად შესაძლებელია გარკვეული თანხების მოზიდვა“, — აცხადებს ნიკა ჩიტაძე.

მანანა ნოზაძე

გია ვოლსკის გახარიაზე ეჭვები ჯერ კიდევ თებერვალში ჰქონია

„გასაკვირია გიორგი გახარიას ასეთი ჯგუფური დაცვა მაშინ, როცა სწორედ 20 ივნისის საკითხებზე კონკრეტულ ტელევიზიებს და პარტიულ ბოსებს პრეტენზია ჰქონდათ. ახლა სიტუაცია საერთოდ გადაეწყო და მასთან ერთად სხვისი დანაშაულების თემაზე ალაპარაკდნენ და საერთოდ, რატომ გახარია და მის მიმართ პრეტენზიები? ერთია, შეცდომები, რაზეც ირაკლი კობახიძემ ილაპარაკა. ირაკლი კობახიძეს რაიმეს თუ „დაუწუნებ“, მხოლოდ გულწრფელობა იყო. მან დეტალებში მოყვა ყველა დამოკიდებულება. საზოგადოება ყველა საკითხზე ინფორმაციის მიღებას იმსახურებს, მათ შორის 20 ივნისზე. განმაცვიფრა იმან, რომ უცებ, ყოველგვარი წინაპირობის გარეშე, გახარიამ თქვა, რომ უმრავლესობის წევრები არათუ არ იყვნენ, არამედ გაიპარნენო და დამამცირებელი ეპითეტებით შეგვამკო მაშინ, როცა სრულიად სხვა ვითარება იყო.

როცა საზოგადოება, თანაგუნდელები ეუბნებიან ისეთი ოპერაციის ჩატარებას, რომელიც მაღალპროფესიონალურ დონეზე იქნება ჩატარებული და არ გამოიწვევს ამდენ დაზარალებულს როგორც პოლიციელებს შორის, ასევე საზოგადოებაში, კითხვები ჩნდება, მაგრამ ეს კითხვები შეცდომებზე თუ იყო, ეს უკვე თებერვლიდან გადაიზარდა ეჭვებში და ეჭვების საფუძველზე, საკმაოდ ვრცლად ისაუბრა ირაკლი კობახიძემ.

შემიძლია დავამატო, რომ სრულიად გაუგებარი გადაწყვეტილება მიიღო გიორგი გახარიამ. თურმე, ოპერაცია ხელს უშლის და ორი-სამი დღით გადადებაა საჭირო, რათა ადამიანმა, რომელიც პრაქტიკულად დამნაშავეა, ძალა მოიკრიბოს და დააანონსოს სახელმწიფო სტრუქტურების არარსებობა ქვეყანაში. ანუ, სახელმწიფოს საფუძვლების რყევაზე იყო საუბარი და ამ თემაზე იყო მთავარი აქცენტები გაკეთებული. უკვე ის შენიშვნები, გულდაწყვეტა და სამართლიანი კამათი, რაც ნორმალურია, გადაიზარდა უკვე სერიოზულ ეჭვებში, რომელსაც პოლიტიკური ხასიათი აქვს“, — განაცხადა გია ვოლსკიმ.

გიორგი ვაშაძე: გახარია, კობახიძე, მათი ძმანი და დანი ყველა დამნაშავეა, რომ საგარეო ვალი არის 33 მილიარდ 400 მილიონი

„გუშინ რაც მოვისმინეთ, ჩვეულებრივი ჭორიკნობაა და მეტი არაფერი. ჭორაობა, რაღაც თემების შეთხზვა ხდება. გამახსენდა, გიორგი კვირიკაშვილს „ქართულმა ოცნებამ“ როგორ დააბრალა, რომ ბავშვები მშიერი რომ არიან, მისი ბრალიაო. იმის შემდეგ ქვეყანაში კიდევ უფრო მეტი ბავშვია მშიერი. ახლა გახარიას აბრალებენ იმ უბედურებებს, რაც ქვეყანაში ხდება. ოღონდ, ორივე დამნაშავე არიან. ეკონომიკური თვალსაზრისით კორონავირუსის დროს რა დანაშაულებებს ჩადიოდა გახარია, ამას პირდაპირ ვამბობდით. ქვეყანაში რაც ხდებოდა, ამის თანაავტორია კობახიძე, გახარია და რაც მთავარია ბიძინა ივანიშვილი. თუ ასეთი არაგუნდური, მოღალატე, არაპროფესიონალი და ცუდი გახარია, პრემიერად რატომ დააწინაურეს? ამბობენ, მენეჯერიც არ იყო და პრემიერად რატომ გადაიყვანეს? რა დღეში ჩააგდეს ქვეყანა? მართლა, ნამუსი გააქვთ? — კობახიძეს მივმართავ. კრიმინოგენური ვითარება გააუარესა, დაგვამშია, გაგვაუბედურა და ხალხს რას ერჩოდით? სპეცოპერაციებს რომ გეგმავდა, გვეშინოდაო, გადაიყვანეს პრემიერად და ჩააბარეს სპეცოპერაციები და ეკონომიკაც და ამის არ ეშინოდათ? როცა პანდემიის დროს გახარიას ვუსმენდი, შიშის ზარი მცემდა. რამდენი არასწორი ქმედება აქვს ჩადენილი, შეგიძლიათ, ჩემი მიმართვები ამოიღოთ. ეკონომიკა ამ მდგომარეობაში რომ არის, ეს კობახიძის ბრალია მასთან ერთად. ირაკლი კობახიძის მიერ დასახელებულ გარე ფაქტორად წარმომიდგა თვალწინ რომ გახარია იყო რუსეთის მოქალაქე და მაშინ, გარე ფაქტორი რუსეთიდან მოდიოდა, ე.ი. ალბათ პუტინმა დარეკა, შეიძლება, თავად დარეკვა არც იკადრა და „ქართულ ოცნებასთან“ ვიღაცას დაარეკინა და უთხრა, ჩემი ბიჭი პრემიერად დამინიშნეთო. აბა, სხვას ვის უნდა დაერეკა? ზუსტად ვიცი, ამ საკითხზე ტრამპი არ დარეკავდა, ამის გარანტიას გაძლევთ“, — განაცხადა ვაშაძემ.

მიიღეთ კანონი „გარყვნილების პროპაგანდის აკრძალვის შესახებ“

მოძრაობის „ერთობა, რაობა, იმედი“ დამფუძნებელი ლევან ვასაძე ხელისუფლებას მოუწოდებს, მიიღონ კანონი, რომელიც აკრძალავს გარყვნილების პროპაგანდას ქვეყანაში.

როგორც ლევან ვასაძემ გუშინდელ პრესკონფერენციაზე განაცხადა, დაანონსებულია ე.წ. პრაიდის კვირეული და სახელმწიფომ არ უნდა მისცეს საშუალება რადიკალურ ჯგუფებს, რათა მოახდინონ ქვეყანაში ვითარების დესტაბილიზაცია.

„ვნახეთ ჯოჯოხეთური კლიპი, რომელიც გადაიღეს ე.წ. პრაიდის რეკლამისთვის, რომელიც მკვეთრად ეწინააღმდეგება ჩვენი საზოგადოების ნორმებს. იგი საფრთხეს უქმნის ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივებს, რადგან საზოგადოებრივი დიალოგის ფარგლებში არაერთი წელია, გვაქვს სრულიად მკაფიო მესიჯები, ჩვენი მომძე ოსებისა და აფხაზებისგან, თუ საქართველო მიდის მაგ გზით ანტიტრადიციული, სრულიად მიუღებელი მიმართულებით, ჩვენ თქვენთან საერთო არ გვაქვს. მსგავსი ანტიკულტურის დამკვიდრების მცდელობა ახდენს საქართველოს ამოვარდნას იმ საერთაშორისო საზოგადოების ნორმებიდან, რომლის რეალობაშიც ჩვენ ვცხოვრობთ და ქმნის საფრთხეს არა მხოლოდ შიდა დესტაბილიზაციისა ქვეყანაში, არამედ პირდაპირ ურტყამს ჩვენს სახელმწიფოებს სტატუსს.

მოვუწოდებ ქვეყნის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, „ქართული ოცნების“ ლიდერებს, მოეშვან თამაშებს და გააკეთონ მკაფიო არჩევანი, ან დადგნენ საზოგადოებრივი მორალისა და ტრადიციების გვერდზე, გაუქმონ ეს დაანონსებული პრაიდი. როგორც ეს ჩვენ მათ გავაკეთებინეთ ორი წლის წინ“, — განაცხადა ვასაძემ. მისივე თქმით, ხელისუფლებას აძლევს 10-დღიანვადას, რათა გააუქმოს ეს პრაიდი და არ მისცეს საბაბი ქვეყანაში ესკალაციის, დაპირისპირების პროცესების განვითარებას და ქვეყნის დისკრედიტაციას სამეზობლოში.

„გარდა ამისა, მიიღონ კანონი, რომელიც აკრძალავს გარყვნილების პროპაგანდას ქვეყანაში. ეს არის ჩვენი ორი მოთხოვნა ქვეყნის ხელმძღვანელობის მიმართ. ასევე 15 პარტიას, რომელმაც ხელი მოაწერა ლგბ დოკუმენტის მანიფესტს, მათაც გააკეთონ არჩევანი, ან დადგნენ ქართველი ხალხის ტრადიციების, საზოგადოებრივი მორალის სადარაჯოზე, ან იმ ერთი მუჭა უცხოეთიდან დაფინანსებული დესტაბილიზატორების მხარეს, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ, რათა ქვეყანაში დაძაბონ ყველაფერი“, — განაცხადა ვასაძემ.

„ეს უზარმაზარი შრომაა, რომელსაც დანახვა უნდა“

„პირველი, რაც გაკეთდა იყო მიწისქვეშა კომუნიკაციების განახლება. ბოლო წლების განმავლობაში მიწისქვეშა კომუნიკაციებისთვის ხელი არავის უხლია და ზოგადად, დედაქალაქში ამ კუთხით მძიმე მდგომარეობაა. ჩვენი მიდგომაა მოხდეს განახლება. პირველ რიგში მიწისქვეშა კომუნიკაციები უნდა გაკეთდეს, შემდეგ კი სხვა სამუშაოები, როგორიცაა, გამწვანება, ქუჩის კეთილმოწყობა და ასე შემდეგ. რა თქმა უნდა, ეს მიდგომები მომავალშიც აუცილებლად გაგრძელდება. ჩვენ შვიმუშავეთ გაზრებული, თბილისსა და თბილისელებზე მორგებული პოლიტიკა, რომელიც ქალაქის სწორ განვითარებას უზრუნველყოფს. ახალი სტანდარტით არ შემოვიფარგლებით მხოლოდ ქუჩის მოასფალტებით, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ბევრი მაგალითი შეგვიძლია მოვიყვანოთ თუ როგორ აისახება რეალობაზე ჩვენი მიდგომები“, — განაცხადა კახა კალაძემ თბილისის ინფრასტრუქტურის განვითარების პოლიტიკის შესახებ ანგარიშის წარუდგენისას.

ოთხი წლის განმავლობაში თბილისის ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით არაერთი წარმატებული პროექტები განხორციელდა, მათ შორის:

წარსულს ჩაფარდა ინფრასტრუქტურული პროექტების ფასადურად განხორციელების პრაქტიკა;

უკლებლივ ყველა პროექტი გულისხმობს მიწისქვეშა კომუნიკაციების გამოცვლას, ვიზუალური ნაწილის მოწესრიგებას, ფუნდამენტურ განახლებას;

სრულად რეაბილიტირდა 900-ზე მეტი ქუჩა, რამდენიმე საკვანძო გამზირი და გზატკეცილი.

აშენდა 3 გზაგამტარი და 10 ხიდი რეაბილიტირდა;

კაპიტალურად შეკეთდა და რეაბილიტირდა ჯამში 5 400 000 კვ.მ. ფართობის გზის საფარი;

წყალარინებისა და წყალმომარაგების კუთხით, უმნიშვნელოვანესი ნაბიჯები გადაიდგა-წყალგაყვანილობის ქსელს 1200-მდე აბონენტი შეუერთდა. წყალარინების ცენტრალურ ქსელზე დაერთდა 1800-მდე აბონენტი;

გამაგრებების სამუშაოები ჩატარდა 355 საცხოვრებელ კორპუსს;

პროექტ „ახალი ტფილისის“ ფარგლებში, 93 ობიექტი რეაბილიტირდა, საიდანაც 74 კულტურული მეკვიდრეობის ძეგლია (მათ შორის: ორბელიანის მოედანი, დედაენისა და 9 მარტის ბაღები, გუდიაშვილის მოედანი).

თბილისის მერიის გაწეულ სამუშაოებს აფასებს ექსპერტი ნიკო კახეთელიძე:

„როდესაც ადამიანი კარგ საქმეს აკეთებს, ეს უნდა თქვა. თუ არ დაინახავ და დააფასებ, ყველა ხელს ჩაიქნევს. ეს უზარმაზარი შრომაა, რომელსაც დანახვა უნდა. გაითვალისწინეთ, რომ იქ სადაც ახალი გზა დაიგო, გლდანში, ქალაქის ცენტრში თუ დიდ დიღომში, ყველგან კომუნიკაციები გამოიცვალა. თავი რომ დავანებოთ სატრანსპორტო თემას, ვაკეში რომ კომუნიკაციები არ გამოცვლილიყო, კატასტროფის წინაშე ვიდექით, იმიტომ, რომ ამ წლების განმავლობაში, ინერტული მასალა,რაზეც ასფალტი იგება, მთლიანად გამორეცხილი იყო და ქუჩა ასფალტის 5-6 ფენას ეჭირა. გაიხსენეთ სააკაშვილმა რა გააკეთა. სააკაშვილმა ფასადების ღებვა დაიწყო და კალაძემ დაიწყო მიწაში ჩასვლა ანუ იმის კეთება, რაც არ ჩანს. რა თქმა უნდა, ეს პოპულისტური თემა არაა, მაგრამ სინამდვილეში, მიწისქვეშა კომუნიკაციები ქალაქისთვის იგივეა, რაც ადამიანისთვის გული და გულსისხლძარღვები“, — აცხადებს „პროგრესნიუსთან“ საუბრისას ექსპერტი.

„ჩვენს პოლიტიკაში, ტურბულენტურ გარემოში, აბსოლუტურად არაფერია გამორიცხული. თუმცა, მაღალი ალბათობაა, რომ ეს არ მოხდება — კალაძემ განაცხადა, რომ ის არ იწონებს გახარიას ნაბიჯს. ამის შემდეგ, უცებ მისი აღმოჩენა ყოფილი პრემიერ-მინისტრის გუნდში, არალოგიკურად გამოიყურება“, — ამის შესახებ ანალიტიკოსმა ზაალ ანჯაფარიძემ For.ge-ს განუცხადა.

„ქართული ოცნება“ მერობის კანდიდატად ზურაბ პოლოლიკაშვილის წარდგენას განიხილავს

— „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა, მამუკა მდინარაძემ თქვა, რომ ამ ეტაპზე კახა კალაძის გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული, იქნება თუ არა ის თბილისის მერობის კანდიდატი. ვიცით, რომ ჯერჯერობით კალაძე არ ჩქარობს აღნიშნულის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას. როგორ ფიქრობთ, რატომ?

— მგონია, რომ შიდა პარტიული ვაჭრობა-გარიგების ამბავს უფრო უნდა უკავშირდებოდეს. კალაძეს, როგორც ჩანს, თავისი წინაპირობები აქვს თბილისის მერობის კანდიდატობასთან დაკავშირებით. შესაძლოა, სწორედ ამაზე მიდის მოლაპარაკებები.

მეორე მხრივ, კალაძეს აქვს ჯანმრთელობის გარკვეული პრობლემები და ესეც გასათვალისწინებელია. ასე რომ, ბევრი ფაქტორი არსებობს. 15 ივლისისთვის უკვე უნდა დასრულდეს თვითმმართველობის არჩევნებისთვის კანდიდატების წარდგენაც და სამზადისი. შესაბამისად, ერთი თვე დაგვრჩა მოსაცდელი.

— თუკი „ქართული ოცნებიდან“ კალაძე არ იქნება წარდგენილი, როგორ ფიქრობთ, ვინ შეიძლება დასახელდეს მის შემცვლელად?

— კალაძის შემცვლელად, თავად პარტიული რიგებიდან, ამჟამად ვერავის ვხედავ, რომელსაც გააჩნია გარკვეული პოპულარობის დონე. „ქართული ოცნების“ ცნობად სახეებში ასეთ ფიგურას ჯერჯერობით ვერ ვხედავ. იყო გარკვეული ინფორმაციები, რომ „ქართული ოცნება“ აპირებდა არაპარტიული კანდიდატის წარდგენას, საუბარი იყო ზურაბ პოლოლიკაშვილზე, რომელიც ახლა არის საერთაშორისო ტურიზმის ფედერაციის პრეზიდენტი.

ამის წინაპირობა დღეს არ არსებობს, ვიდრე არ გვეცოდინება კახი კალაძის პასუხი. დელიკატური თამაში მიდის თვითონ „ქართული ოცნების“ რიგებში. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, კალაძე დიახ-ს იტყვის თუ არა-ს. თუ კალაძე გამოვა და საზოგადოებისთვის მისაღებ არგუმენტს დაასახელებს, თუ რატომ არ აპირებს მერად კენჭისყრას, მაშინ სავარაუდოდ, წინა პლანზე წამოვა ის ახალი კანდიდატი, რომელთანაც იყო გარკვეული კონტაქტები, რომ შესაძლოა, იგი განხილულიყო მერობის კანდიდატად. პირადად მას ეს ინფორმაცია არ უარყვია.

— დღეს აქტიურად მიდის საუბარი იმის შესახებ, რომ „ქართული ოცნება“ 43%-ს ვერ აიღებს, შესაბამისად, მივიღებთ, რიგგარეშე არჩევნებს. მმართველი გუნდის რეიტინგის ვარდა გამოიწვია, როგორც ბიძინა ივანიშვილის, ასევე გიორგი გახარიას „ქართული ოცნებიდან“ წასვლამ. თქვენ როგორ ფიქრობთ, აიღებს მმართველი პარტია 43%-ს?

— ჯერ ბიძინა ივანიშვილის წასვლამ, შემდეგ გახარიას ასეთი ფორმით წასვლამ, განცხადებებმა, რაც მისი მხრიდან მოვისმინეთ, ბუნებრივია, „ქართული ოცნების“ ამომრჩეველზე გარკვეული ზეგავლენა მოახდინა, რაც ნამდვილად არ არის „ოცნების“ სასარგებლოდ. როდესაც პარტიიდან ასეთი მნიშვნელოვანი კადრების გასვლა ხდება, ეს ამომრჩეველში იწვევს უსიამოვნო განცდებს. ყველამ ვიცით, რას ნიშნავს ბიძინა ივანიშვილი „ქართული ოცნებისთვის“ - მან დააფუძნა ეს პარტია და მის ორბიტაზე ტრიალებდა ყველაფერი. ამის შემდეგ წამოვიდნენ წინა პლანზე ახალი ლიდერები და დღეს უკვე, მათ პოლიტიკურ უნარებზეა დამოკიდებული, რამდენად შეძლებენ ისინი იმას, რომ ამ არჩევნებზე 43% აიღონ.

გუნდიდან გახარიას გასვლამ, 43%-ის აღება ცოტა არ იყოს ეჭვქვეშ დააყენა, მაგრამ მგონია, რომ ისევ ამუშავდება ტრადიციული ფაქტორი, რასაც ჰქვია „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში არდაბრუნება. „ქართული ოცნება“ ბოლომდე შეეცდება, რომ მისთვის მომგებიანი ფაქტორი, რომელსაც ამ ხნის განმავლობაში იყენებდა, გამოწუროს და ამ არჩევნებშიც აამუშაოს მაქსიმალურად. 43%-ის აღება-ვერაღების ალბათობა 50-50%-ზეა.

ნიკო ჩოხელი

— ინტერვიუ ქართულ-ბრიტანული სავაჭრო ჰაბის დამფუძნებელთან

უმუშევრობის შემსუბუქების შანსი ბრიტანული ინვესტიციებით

ბრექსიტის შემდეგ, რა შესაძლებლობები აქვს საქართველოს დიდ ბრიტანეთთან თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობების შეთანხმების საექსპორტო პროდუქციის ბაზრების დივერსიფიცირებისთვის გამოსაყენებლად და რა მოლოდინები აქვთ ბრიტანეთში მცხოვრებ ქართველ ბიზნესმენებს? — ამ თემაზე „კომერსანტი“ ლონდონში მცხოვრებ ქართველ ბიზნესმენს და ქართულ-ბრიტანული სავაჭრო ჰაბის დამფუძნებელს **ბაჩი გაბუნიას** ესაუბრა.

ბრიტანეთში ქართულ პროდუქტზე მოთხოვნა იზრდება, საქართველოში მალე ბრიტანული ინვესტიციით სამუშაო ადგილები შეიქმნება, რომელი ქართული პროდუქტი აინტერესებთ ინგლისში? - ბაჩი გაბუნიას თქმით, ეს ყველაფერი მომავალი წლისთვის უკვე შესრულებადი იქნება ბრიტანულ—ქართული სავაჭრო ჰაბის ფარგლებში. საინტერესოა, ასევე, კოვიდსიტუაცია ინგლისში, სადაც ბიზნესი და მოქალაქეები შეღავათებისა და საკმარისი გრანტების სისტემის საშუალებით ადვილად ახერხებს კრიზისთან გამკლავებას.

„ორი დღის წინ დავასრულე ვიზიტი საქართველოში, სადაც შევხვდი ძალიან ბევრ მეწარმეს, რომლებიც დაინტერესებული არიან თავიანთი პროდუქციის გატანით ინგლისის ბაზარზე. ამ თანამშრომლობის მასშტაბები გაორმაგდა და ამბიცია გვაქვს, რომ მომავალი წლისთვის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ექსპორტიორები ვიყოთ ბრიტანეთში ქართული პროდუქციის. კარგად გადის ქართული ლუდი, ქართული ლიმონათი, ცოცხალი ხილის პროდუქტი, ტყემალი, ღვინო. ასევე ვაკეთებთ აქცენტს ჯემებსა და მურაბებზე, რაზეც საკმაოდ კარგი მოლოდინი გვაქვს. საქართველო პატარა ქვეყანაა და შეიძლება გარკვეულ მიჯნამდე მივიდეთ“, — ამბობს ბაჩი გაბუნია.

დიდ ბრიტანეთში ამჟამად 188 ათასამდე თავისუფალი სამუშაო ადგილი გაჩნდა მომსახურებისა და ტურიზმის სფეროში.

„ბრიტანეთში უკვე გაჩნდა განწყობა, რომ პანდემია დასასრულს უახლოვდება. მაქსიმალურად ცდილობს სახელმწიფო, რომ შეამციროს ბიზნესისთვის კოვიდით გამოწვეული დარტყმები, გაიხნას ფიტნეს ცენტრები, აუზები, კაფეები. სახელმწიფომ გამოყო გრანტები დაზარალებული ბიზნესისთვის. იმ ხალხისთვის, ვინ სრულად დაკარგა სამსახური ან მხოლოდ ნაწილობრივ აღდგა პოზიციებზე, სახელმწიფომ ხელფასზე დანამატები დააწესა. სახელმწიფო მაქსიმალურად ცდილობს, რომ იყოს ხელშემწყობი ბიზნესისთვის იმიტომ, რომ დაინახა რა დარტყმაც მიიღო ამ სფერომ. ამის გამოძახილია ის, რომ ახლა რომ ბრიტანეთში 188 ათასამდე თავისუფალი სამუშაო ადგილი გაჩნდა, რომელზეც ისეთი მიმართულებით ეძებენ ხალხს, როგორიც არის ტურიზმი და მომსახურების სფერო“, — ამბობს ბაჩი გაბუნია.

ბიზნესმენის თქმით, საქართველოს აქვს უნიკალური შესაძლებლობა, გახდეს დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორი, რადგან გარდა რესურსებისა, ლარისა და ფუნტის მიმართება ქართველი მეწარმისთვის ბრიტანულ ბაზარს მომგებიანს ხდის.

შარშან ბრიტანეთის სავაჭრო პალატის ინიციატივით შეიქმნა ბრიტანულ-ქართული სავაჭრო ჰაბი, რომლის ფუნქციაა მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ხელშეწყობა ერთი ფანჯრის პრინციპით საქონლის ბრიტანეთის ბაზარზე გატანაში.

№ 131-132. ოთხშაბათი-ხუთშაბათი, 16-17 ივნისი, 2021 წელი.

საქართველოში ვაქცინაცია ბოლო რამდენიმე კვირაა აქტიურად მიმდინარეობს. ცნობილია, რომ სულ მალე 3 600 000 ათასი 4 სახის ვაქცინა შემოვა. როგორც ჯანდაცვის ექსპერტმა, აპაკი ზოიძემ for.ge-ს განუცხადა, ივლისში „ფაიზერი“ შემოვა, მას მოჰყვება „ნოვოქსის“, „ჯონს ენდ ჯონსონის“ და ჩინური „სინოფარმისა“ და „სინოვაკის“ ვაქცინები.

ჯანდაცვის ექსპერტი ასევე ხსნის საჭირო იქნება თუ არა ვაქცინის ბუსტირება, რა უნდა გავითვალისწინოთ აცრის შემდეგ და მოვიხსნით თუ არა პირბადეს იმ შემთხვევაში, თუ ვაქცინირებულები ვართ.

შეიძლება, ყოველწლიურად მოგვიწიოს ვაქცინაცია

— „ჯონსონ ენდ ჯონზონზე“ ცნობილმა ამერიკულმა გამომცემლობებმა დაწერეს, რომ აღნიშნული ვაქცინის მილიონობით განადგურება იგეგმება. თუ გაქვთ ინფორმაცია რატომ დადგა ამ ვაქცინის განადგურების საჭიროება?

— მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ „ჯონსონ ენდ ჯონსონი“ ავტორიზებულია. ასევე აღიარებულია ამერიკის წამლების სააგენტოს მიერ. საუბარი იყო, რომ ამ ვაქცინის შემდეგ, ძალიან იშვიათი გართულებები იყო, რის გამოც დროებით მისი მოხმარება შეჩერდა, მაგრამ მისი გამოყენება გაგრძელდა. რაც შეეხება ამ ვაქცინის განადგურებას, ბალტიმორის ქარხანაში მომხდარ ამბავს თუ გულისხმობთ, იქ უბრალოდ წარმოების პროცესი დაირღვა. არ აქვს მნიშვნელობა რა ვაქცინაა, როდესაც მისი წარმოება ირღვევა, ნებისმიერი წამალის ამოღება ხდება და განადგურება. ასე რომ, ეს ვაქცინის მოხმარებაზე არ მოქმედებს და ამ თემის წინ წამოწევაც არ ღირს.

— ვაქცინის 3 600 000 ათასი დოზა შემოვა და ვაქცინაცია ისევ რეგისტრაციით იქნება შესაძლებელი თუ მოქალაქეებს შეეძლებათ ჩვეულებრივ კლინიკებში მისვლა და აცრა?

— მე რაც ვიცი, მასობრივი ვაქცინაციის ცენტრები უნდა გაიხსნას. დღეში 15 ათასი ადამიანი უნდა აიცრას, ეს კი ლოჯისტიკურად მნიშვნელოვანი გამოწვევაა. გარდა ამისა, ჩვეულებრივად სხვა ვაქცინების დროს პოლიკლინიკებში რომ ვიცრებოდით, ახლაც ასე უნდა მოხდეს — ყველა ამბულატორიაში უნდა იყოს ვაქცინაცია. ასევე უნდა გაიხსნას მასობრივი ვაქცინაციის ცენტრები, მაგალითად „ექსპჯორჯიაში“, სპორტის სასახლეში თუ სავაჭრო მოლებში. ეს ყველაფერი აუცილებლად გასაკეთებელი იქნება იმისთვის, რომ შევძლოთ იმ ამოცანის შესრულება, რათა ჩვენი მოქალაქეების 60-70% წლის ბოლომდე ვაქცინირებული იყოს. ასევე მნიშვნელოვანია პოლიტიკური ჩართულობით ვაქცინაციის კამპანია, რათა გავიდეთ არა მხოლოდ იმ ადამიანებზე, ვისაც არანაირი კამპანია და დარწმუნება არ სჭირდებოდათ, რომ ვაქცინა უნდა გაეკეთებინათ, არამედ უნდა მოვიცვათ ის ადამიანები, ვისაც კითხვები აქვთ, ვინც ჯერ კიდევ ყოყმანობს, მათი ჩართვაც აუცილებელი იქნება.

— თუ გაქვთ ინფორმაცია დღეს მდგომარეობით აცრილთა რაოდენობა რამდენია?

— დღევანდელი მდგომარეობით საწყის ეტაპზე ვართ. დღეს მდგომარეობიდან რაიმე დასკვნების გაკეთება არ შეიძლება. თუმცა, ჩვენი ამოცანაა, ივლისიდან მასობრივი ვაქცინაცია დაიწყოს. როდესაც მასობრივი ვაქცინაცია დაიწყება, მაშინ შევძლებთ ვიდავოთ იმის თაობაზე, თუ რამდენად რეალისტურია ის ამოცანა, რომ წლის ბოლომდე 60-70% აიცრას. თუ ლოჯისტიკურ გამოწვევას თავი გავართვით და ეს მასობრივი ვაქცინაციის ცენტრები გაიხსნება და დღეში 15 ათასი ადამიანის ვაქცინირებაზე ავალთ.

— ბუსტირების თემამ მითქმა-მოთქმა გამოიწვია. რომ ავუხსნათ მოქალაქეებს, მართლაც ყოველწლიურად მოგვიწევს აცრა?

— ამ კუთხით მოქალაქეებს ამ ეტაპზე სადარდებელი არ აქვთ. ცნობილია, რომ ვაქცინის შემდეგ იმუნიტეტი მინიმუმ ერთი წელი გრძელდება. ყველაზე უარეს შემთხვევაში, როგორც გრიპზე იცრებიან ადამიანები, შესაძლოა, ასეთივე დაგვჭირდეს კოვიდის შემთხვევაშიც. რაც ნაკლებია აცრილი, ინფიცირების გავრცელების არეალი უფრო ვრცელი ხდება, შეიძლება ახალი შტამები გაჩნდეს და ა.შ. გრიპის შემთხვევაში ამის კონტროლი მეტ-ნაკლებად ხდება. გრიპი სახეს რომ იცვლის, ამიტომ გვინდა ხოლმე ყოველწლიურად ვაქცინის გაკეთება. ყველაზე უარეს შემთხვევაში შეიძლება, ყოველწლიურად მოგვიწიოს ვაქცინაცია. შეიძლება არც დაგვჭირდეს, რადგან ჩვენი იმუნიტეტი საკმარისი აღმოჩნდეს.

— ვაქცინის შემდეგ ადამიანს რა ეკრძალება?

— ადამიანი აცრას რომ გაიკეთებს, იმ წუთშივე იმუნიტეტით დაცული არ არის. იმუნიტეტი მეორე აცრიდან 2-3 კვირის შემდეგ გამომუშავდება. ამის შემდეგ შეიძლება, აცრილ მეგობრებთან ერთად ყოფნის დროს პირბადის გარეშე ცოტა ხნით იყოთ. რაც შეეხება სრულად პირბადის მოხსნას, ვიდრე მოსახლეობის დიდი ნაწილის ვაქცინაცია არ მოხდება, იქამდე ამ შეზღუდვისგან ვერ განვთავისუფლდებით. როდესაც ვაქცინაცია გარკვეულ რაოდენობას მიაღწევს, შესაძლოა, ღია სივრცეებში დაიშვას პირბადის მოხსნა, მაგრამ დახურულ სივრცეებში ეს რეგულაცია იქამდე დარჩება, ვიდრე მოსახლეობის 70% არ აიცრება.

რაც შეეხება აცრის შემდეგ პერიოდს, ადამიანი უნდა ეცადოს ორგანიზმი არ დატვირთოს. ასევე, ალკოჰოლის დიდი რაოდენობის მიღება ხელს არ უწყობს იმუნიტეტის გამომუშავებას, ეს ალბათ ყველამ იცის. მინიმუმ 72 საათი რეკომენდირებული არაა ალკოჰოლის მიღება. ამ კუთხით სხვა მკაცრი რეგულაციები არაა.

ქეთი გიორგაძე

რომელ ვაქცინას მივანიჭო უპირატესობა?

როგორ მოვიქცე აცრის შემდეგ და შეიძლება თუ არა სხვადასხვა ვაქცინის შერევა?

მთელ მსოფლიოში ახალი კორონავირუსის საწინააღმდეგო მასობრივი ვაქცინაცია მიმდინარეობს. შესაბამისად, ჩნდება ახალი პრეპარატები და ახალი კითხვები ამა თუ იმ ვაქცინის გვერდით მოვლენებთან, მათ ეფექტიანობასთან, აცრილი ადამიანის იმუნიტეტის ხანგრძლივობასა და სხვა აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით. ინტერნეტში კი იმდენი ინფორმაცია დაგროვდა, რომ ამ ნაკადში გარკვევა არც ისე მარტივია. ყველაზე ავტორიტეტული გამოცემებიც კი ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციას ავრცელებენ. ამის მიზეზი კი არის ის, რომ ზოგიერთ საკითხზე თავად ექიმები და მეცნიერები ვერ შეთანხმებულან. აცრასთან დაკავშირებულ აქტუალურ კითხვებს შესაბამისი პასუხები BBC-მ გასცა.

— რომელი ვაქცინაა საუკეთესო?

სხვადასხვა ქვეყნის დამოუკიდებელი ექსპერტები ერთხმად ამტკიცებენ, რომ საუკეთესო ვაქცინა არის ის, რომელიც პირადად თქვენთვის არის ხელმისაწვდომი. ამ ზოგად წესს მხოლოდ ერთი გამონაკლისი აქვს — თუ თქვენ კონკრეტული ვაქცინის მიმართ უკუჩვენებები

აღგენიშნებათ. ამ შემთხვევაში, ნამდვილად უნდა აიცრათ უფრო უსაფრთხო პრეპარატით (თუ ეს შესაძლებელია) ან დაელოდოთ მის შემოტანას.

— როგორ მოვიქცე აცრის შემდეგ? რისი გაკეთება შეიძლება და რისი — არა?

აცრის შემდეგ, გარკვეული პერიოდი ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ უნდა იყოთ, რათა საშიში ალერგიული რეაქცია გამოირიცხოს. თუმცა მერეც, უმჯობესია, დღის ბოლომდე საჭესთან არ დაჯდეთ. გავრცელებული მოსაზრების მიუხედავად, აცრიდან ორი კვირის განმავლობაში ალკოჰოლისგან თავის შეკავება მოთხოვნების ჩამონათვალში არ შედის. ექიმები გირჩევენ, ინექციიდან რამდენიმე დღე სპირტიანი სასმელი არ მიიღოთ, რადგან სისხლში ალკოჰოლის შემცველობა ნებისმიერი დაავადების მიმართ იმუნიტეტის ჩამოყალიბებას აფერხებს. ამის შემდეგ კი შეგიძლიათ ცხოვრების ჩვეულ წესს დაუბრუნდეთ.

— კონკრეტულად, რა გვერდითი ეფექტებია მოსალოდნელი?

ადამიანების უმრავლესობას აცრა ყოველგვარი განსაკუთრებული სიმპტომის გარეშე გადააქვს. ამ დროს შესაძლებელია მცირე სისუსტე, ინექციის ადგილზე სუსტი ტკივილი, სიწითლე ან შეშუპება, კუნთების მცირე დისკომფორტი, ზოგჯერ ცხელება, გაცივლებით იშვიათად კი - შემცივნება, გულისრევა და შესაძლოა, ლიმფური კვანძების ოდნავ შეშუპება. ეს ყველაფერი იმუნიტეტის ჩამოყალიბების პროცესში აბსოლუტურად ნორმალური რეაქციაა. ამ დროს აცრილი ადამიანი გარშემომყოფთათვის საფრთხეს არ წარმოადგენს.

ექიმების რჩევით, 38 გრადუსამდე ტემპერატურის დაწევა საჭირო არ არის. თუ სიცხე უფრო მაღალია, შეგიძლიათ მიიღოთ სიცხის დამწევი საშუალება, რომელსაც ჩვეულებრივ გაციების დროს იყენებთ, სასურველია პარაცეტამოლი. იშვიათ შემთხვევებში, ცხელება შეიძლება ორიდან სამ დღემდე გაგრძელდეს.

— უსაფრთხოა თუ არა ვაქცინების შერევა?

მარტივი პასუხია — დიახ, თუმცა გარკვეული სიფრთხილე აქ ნამდვილად საჭიროა. ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ თითოეულ ვაქცინს უკუჩვენებების საკუთარი ჩამონათვალი აქვს. ასე რომ, თუ რაიმე მიზეზით სხვა პრეპარატით აცრას გადაწყვეტთ, ამის შესახებ კონსულტაცია წინასწარ ექიმთან გაიარეთ. სხვა შემთხვევაში კი კვლევებმა დაადასტურა, რომ ვაქცინების შერევა შეიძლება არა მარტო უსაფრთხო, არამედ სასარგებლოც იყოს.

მაგალითად, მოხალისეებში, რომლებმაც პირველი ინექცია ვექტორული ვაქცინა AstraZeneca-თი გაიკეთეს, მეორე კი — რნმ ვაქცინა Pfizer-ით, ორგანიზმში სპეციფიკური ანტისხეულების კონცენტრაცია საშუალოდ 30-40 ჯერ გაიზარდა.

იგეგმება თუ არა ღამით გადაადგილებაზე შეზღუდვის გაუქმება?

საკოორდინაციო საბჭოზე კომენდანტის საათის მოხსნის საკითხი არ განხილულა. მიუხედავად იმისა, რომ ყველა მაჩვენებელი უმჯობესდება, ეს ხდება ძალიან ნელი ტემპით, — ამის შესახებ დაავადებათა კონტროლის ცენტრის ხელმძღვანელმა, ამირან გამყრელიძემ საკოორდინაციო საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

„ახალი შემთხვევების რაოდენობა მერყეობს 300-600-700 შორის. ამიტომ ეს ისეთი მაჩვენებელია ჯერჯერობით, რომ სხვა შემსუბუქებას დაავადებათა კონტროლის ცენტრი ამ ეტაპზე რეკომენდაციას ვერ გაუწევს. რა თქმა უნდა, ჩვენ კიდევ დავაკვირდებით 1 კვირა, 10 დღე ეპიდსიტუაციას და მერე გადაწყვეტილებები იქნება“, — განაცხადა ამირან გამყრელიძემ.

წახალისებულებმა მაინც აიცრით!

განიხილება წამახალისებელი ღონისძიებები და ის პაკეტი, რომელიც ჩვენ შეიძლება შევთავაზოთ სრულად ვაქცინირებულ მოსახლეობას, — ამის შესახებ საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე თამარ გაბუნიამ საკოორდინაციო საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა.

მისი თქმით, ასევე განიხილება სავალდებულო ტესტირების მოდიფიცირება, სავალდებულო ტესტირების რეჟიმს ეტაპობრივად ჩაანაცვლებს ვაქცინაცია და ვაქცინირებული პირისთვის სავალდებულო ტესტირებაში მონაწილეობა აღარ იქნება საჭირო.

„განიხილება შესაძლელობები ბიზნესთან თანამშრომლობის, გარკვეული ფასდაკლებების პაკეტის ამოქმედება იმ პირებისთვის, ვისაც ექნება ე.წ. მწვანე საშვი. მიმდინარეობს მუშაობა საინფორმაციო სისტემის გაფართოებაზე. ბოლო პერიოდის განმავლობაში, საინფორმაციო სისტემას ჰქონდა გარკვეული ლოჯისტიკური ხარვეზები, ამდენად, რამდენიმე უწყების ჯგუფი აქტიურად მუშაობს, რომ გაზრდილი დატვირთვის პირობებში ამგვარი პრობლემები არ შეიქმნას“.

ეძღვნება დიდგორის ბრძოლის 900 წლისთავს

როინ მეტრეველი

დიდგორის ბრძოლა

„... ქმნა წყობანი დიდნი და ხმაგასმენილი... იგი დიდი ძლევაჲ“

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი

წინამდებარე ნარკვევი ეძღვნება დიდგორის ბრძოლაში ქართველთა ძლევამოსილ გამარჯვებას (1121 წ.).

ესაა პერიოდი, როცა ზეობდა გამოჩენილი ისტორიული მოღვაწე, მეფე დავით IV აღმაშენებელი. მის ცხოვრებასა და მოღვაწეობას თანამგზავრად ხვდა სხვადასხვა სახის მძიმე ბრძოლები, ზნეობრივი და ფიზიკური ძალების გამუდმებული მძაფრი დაძაბვა, ღრმა დრამატიზმი; მისი საქმიანობის არსებითი შედეგი ქვეყნისა და სამეფო ხელისუფლების გაძლიერება-განმტკიცება იყო.

სწორედ XII საუკუნის პირველ მეოთხედში მიაღწია ფეოდალურმა საქართველომ პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების მაღალ დონეს. ქვეყნის ეკონომიკურმა სიძლიერემ თავისი გამოხატულება ჰპოვა საწარმოო ძალთა განვითარებასა და შრომის საზოგადოებრივ დანაწილებაში. ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარებამ ქალაქების დაწინაურება განაპირობა;

ფეოდალური საქართველოს ქალაქებმა კი, თავის მხრივ, დიდი სოციალური და ეკონომიკური მნიშვნელობა შეიძინა. ამიტომ იყო, რომ დიდი ფეოდალები მხოლოდ ე.წ. მდაბიორ-მოლაშქრეთა საბოლოოდ დაყმევებისათვის კი არ იბრძოდნენ, არამედ ქალაქების დაუფლებასა და ვაჭარ-ხელოსნებზე გაბატონებასაც ისახავდნენ მიზნად.

დავით IV აღმაშენებლის მრავალმხრივ და მეტად საინტერესო მოღვაწეობასთანაა დაკავშირებული XII საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიის მნიშვნელოვნად გაფართოება — ნიკოფსიიდან დარუბანდამდე და ოსეთიდან არეგაწამდე. ქვეყნის როგორც ტერიტორიული, ისე ეკონომიკური და პოლიტიკური სიძლიერე მიღწეულ იქნა გარეშე მტრებთან ქართველი ხალხის თავდადებული ბრძოლითა და საქართველოს სამეფო ხელისუფლების მიერ გატარებული მრავალმხრივი ღონისძიებების (ეკონომიკური, სამხედრო, სასამართლო, საეკლესიო და სხვ.) შედეგად, რასაც უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა — საქართველო დაწინაურდა და მახლობელი აღმოსავლეთის უძლიერეს სახელმწიფოდ იქცა...

* * *

„... მამული და ახლად მოგებული ღვაწლითა ჩემითა და თქუენითა: ნიკოფსიდგან დარუბანდისა ზღუადმდე და ოვსეთიდან... არეგაწადმდე“.

ანდერძი დავით აღმაშენებლისა (1125 წ.)

საქართველოს გაერთიანება

XII საუკუნის დასაწყისში საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ქვეყნის საბოლოო შემომტკიცების საკითხმა. მართალია, მტერი თითქმის მთლიანად განდევნილი იყო, მაგრამ, ვიდრე ამიერკავკასიის აღმოსავლეთი (შირვანი, რანი) და სამხრეთი (სომხეთი) თურქ-სელჩუკთა ხელში იყო და საქართველოსთან მიმდებარე ყაბალა-განძა-ანისში თურქ-სელჩუკები ბატონობდნენ, საფრთხე მაინც მოსალოდნელი იყო. საქართველოს უშიშროების დაცვის საქმე მოითხოვდა ომის გატანას ქვეყნის საზღვრებს გარეთ. კავკასიის მოძმე ხალხები თვითონაც ებრძოდნენ მომხდურ თურქ-სელჩუკებს და ყოველთვის მზად იყვნენ, მხარში ამოსდგომოდნენ მებრძოლ ქართველებს საერთო მტრის წინააღმდეგ გასალაშქრებლად. ამიერკავკასიის ხალხებს ერთი მოსაზრება ამოძრავებდათ — განედევნათ სელჩუკი დამპყრობლები თავიანთი მიწა-წყლიდან, რასაც ამიერკავკასიის პოლიტიკური გაერთიანება მოჰყვებოდა. გამაერთიანებლის როლში საქართველო გამოდიოდა.

„ხოლო თჳთ მეფე არა თუ ვითარცა სხუა ვინმე ზურგით უდგა ოდენ სპათა თჳსთა, ანუ შორით უზახებდა, ვითარცა ერთი მთავართაგანი ვინმე, არამედ უპირატეს ყოველთასა თჳთ წინა უვიდოდა და ვითა ლომი შეუზახებდა ჴმითა მაღლითა, და ვითა გრიგალი მი-და-მო იქცეოდა“

ლაშქრის რეორგანიზაცია

საქართველოს სამეფო კარს კარგად ჰქონდა აწონ-დაწონილი სამხედრო რეფორმების გატარების დიდი მნიშვნელობა და ისიც გეგმაზომიერად, თანდათანობით შეუდგა ამ საქმეს. უპირველესად საჭირო იყო ლაშქრის მოწესრიგება. გიორგი II-ის (1072-1089 წწ.) დროიდან მოკიდებული, ფაქტობრივად მოშლილი იყო ფეოდალური ლაშქარი, დაცემული იყო დისციპლინა. დავით აღმაშენებელმა შემოიკრიბა ერთგული მოლაშქრეები და მათგან მუდმივი, ძლიერი პირადი გვარდია — **„მონა-სპა“** — შექმნა. ამასთან, საქართველოს მეფის მიერ ცალკეულ მხარეებში თავისი ერთგული, ღირსეული მოხელეები იყვნენ დანიშნულნი და, ბუნებრივია, მათ მიერ გამოყვანილი ლაშქარიც მეფის აქტიურად მხარისდამჭერი, მისი ერთგული და ნება-სურვილის აღმსრულებელი იქნებოდა.

დავით აღმაშენებელი ყოველმხრივ უწყობდა ხელს ლაშქრის გაზრდა-გამრავლებას, სათანადოდ შეიარაღებასა და საგანგებოდ გაწვრთნას; მან განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა დისციპლინის განმტკიცებას. ყოველივე ეს ობიექტური აუცილებლობით იყო გამოწვეული. დავით აღმაშენებლის გამეფებისას ქართველთა ლაშქარი „ტყვეობათა და... ჭირთაგან დამცრობილ“ მცირე გუნდს მხედრობისას წარმოადგენდა.

ახალგაზრდა მეფემ „განამრავლნა სპანი“, აღჭურვა იარაღითა და ცხენებით და მათ წვრთნას შეუდგა. მართლაც, ეს მოხერხდა „უწყინოთა ლაშქრობითა და მცირედმცირედ ბრძოლითა და სწავლითა გუარიანად და ღონიერად წინაძლომითა და მრავალთა ძლევათა მიერ მოგონებითა“. დავით აღმაშენებელი ახალისებდა თავდადებულ ერთგულ მოლაშქრეებს, ამასთან იგი მკაცრი იყო ჯაბანთა მიმართ: „განეკადნიერნეს წყობათა მიერ მხნეთა, ქებითა და ნიჭთა მიცემითა, ხოლო ჯაბანთა სადედოთა შთაცუმითა და კიცხევით ძაგებითა...“

როგორც ჩანს, მხდალ მოლაშქრეებს დასამცირებლად ქალის ტანსაცმელს აცმევდა და ასე აჩვენებდა მთელ ლაშქარს. დავით აღმაშენებელს მკაცრი სამხედრო წესრიგი დაუმყარებია: „ხოლო საეშმაკონი სიმღერანი, სახიობანი და განცხრომანი, და გინება ღმრთისა საძულველი და ყოველი უწესობა მოსპობილ იყო ლაშქართა შინა მისთა“ (ქართლის ცხოვრება, თბ., 2008, გვ. 336),

საქართველოს სამეფო კარმა მოქმედების სისწრაფისათვის ქვეითი ჯარი შეცვალა ცხენოსანი რაზმებით, რომლებიც ყველა დროს მზად უნდა ყოფილიყვნენ. ესოდენ გადახალისებულ-გარდაქმნილი ჯარი მტერს ახალი ტაქტიკით უნდა შებმოდა. მის ხელმძღვანელობასაც ახალი სტრატეგიული ხერხები უნდა გამოეყენებინა. ფართოდ გამოიყენებოდა მზვერავები, რომელთაც მემატიანე **მსტოვრებს** უწოდებს. „მსტოვარნი“ თვალ-ყურს ადევნებდნენ მტრის მოძრაობას და ყველაფერს დროულად აცნობებდნენ მეფეს. „ბოროტ სიტყვასა“ და ღალატში შემჩნეულებს ძალზე მკაცრად უსწორდებოდნენ („განპატიჟება“, თვალების დაწვა, დასაჭურისება და სხვ.). მეფის ასეთმა მოქმედებამ, მკვეთრმა ღონისძიებებმა განაპირობა, რომ „ორგულებასაც, ზაკუასა და ღალატსა რასმე ვერვინ, დიდთა თუ მცირეთაგანი, იკადრებდა“. საქართველოს სამეფოში მკაცრი რეჟიმი დამყარდა. სამეფო ხელისუფლებამ ძლიერი საპოლიციო აპარატი შექმნა, რომელსაც დავით აღმაშენებელმა სათავეში **მანდატურთუხუცესი** (მანდატურთა — შინაგანი პოლიციის მსახურთა უფროსი) ჩაუყენა. დავით აღმაშენებლის დროს მანდატურთუხუცესის თანამდებობა დიდგვაროვან ქართველ ფეოდალებს — ჯერ ვარდანისძეებს, შემდეგ ორბელებს ეკავათ.

დავით აღმაშენებელმა თავისი ლაშქარი სწრაფად მანევრირებადი გახადა. ლაშქრის სწრაფი მოძრაობის უზრუნველსაყოფად საქართველოს მეფემ გაუვალ მდინარეებზე ააგო ხიდები და „საწყინოდ სავალნი“ გზებიც „ქვა-ფენილ ყვნა“. ყოველივე ამან კი ხელი შეუწყო „სიმრავლითა სპათათა და სიმალითა სვლას“. როგორც ჩანს, შეიცვალა საომარი ტაქტიკაც. კარგად იყო აწყობილი სამობილიზაციო სისტემა. მუდმივ მზადყოფნაში იყო სასიგნალო კოშკები, პირდაპირი და ესტაფეტის წესით მოქმედი „ჭენებითმავალნი“, რომელთა საშუალებით წვევის წიგნები ანუ მეფის ბრძანება გადაიცემოდა. ქართული ჯარის ასე სწრაფი თავმოყრისა და პირდაპირი გალაშქრებისათვის მუდმივი მზადყოფნა, როგორც სტრატეგიული, ისე ტაქტიკური მასშტაბის დარტყმათა დასწრების დიდ შესაძლებლობას ქმნიდა. დავით აღმაშენებელს ჰქონდა საჭირო საალყო ტექნიკა, სატყორცნი იარაღი, ბუნებრივია, ჰყავდა ამ ტექნიკას დაუფლებული პერსონალიც. სწორედ ტექნიკის გონივრულად გამოყენების შედეგი იყო ციხე-სიმაგრეთა „ადვილად და მოსწრაფედ“ აღება. შინაგანი საოპერაციო მიმართულებების, ზურგისა და საომარი მოქმედების გამართულობა დიდად უწყობდა ხელს დავით აღმაშენებლის ლაშქრის წარმატებებს.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ხაზს უსვამს, **„ხოლო თჳთ მეფე არა თუ ვითარცა სხუა ვინმე ზურგით უდგა ოდენ სპათა თჳსთა, ანუ შორით უზახებდა, ვითარცა ერთი მთავართაგანი ვინმე, არამედ უპირატეს ყოველთასა თჳთ წინა უვიდოდა და ვითა ლომი შეუზახებდა ჴმითა მაღლითა, და ვითა გრიგალი მი-და-მო იქცეოდა“** (ქართლის ცხოვრება, თბ., 2008, გვ. 311-312). ქართული ლაშქრის სრული რეორგანიზაცია, ჯარის ახალი სახეების შექმნა აუცილებელს ხდიდა სამხედრო საქმეთა განსაგებლის რეორგანიზაციასაც. ამ ახალმა მოთხოვნებმა განაპირობა საქართველოს სახელმწიფოში საგანგებო სამხედრო უწყებისა და მისი მეთაურის — ამირსპასალარის (მთავარსარდლის) თანამდებობის შექმნა.

დავით აღმაშენებელი გეგმაზომიერად ატარებდა ღონისძიებებს ფეოდალური ქვეყნის ცენტრალიზაცი-

ისა და სამხედრო ძლიერებისათვის. 1110 წელს გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის, მისი დისწულის თევდორეს, აბულეთისა და ივანე ორბელის მოხერხებული მოქმედების შედეგად აღებულ იქნა ქ. სამშვილდე **(„სიმარჯჳთ მოიპარეს სამშვილდე“)**, რომელიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქი იყო. 1110 წელსვე აღებული და შემოერთებული იქნა ქ. ძერნა. 1115 წელს, ქ. რუსთავი აიღეს.

1116 წელს, ზამთარში ტაოს ჩამოდგნენ დიდძალი თურქ-სელჩუკები, დავით აღმაშენებელმა ხერხი იხმარა **(„მოიჴელოვნა“)**: ქართლის ლაშქარს მზადყოფნის საიდუმლო ბრძანება მისცა, თვითონ კი ქუთაისში წავიდა. ამით მოადუნა მტრის ყურადღება. თებერვალში მეფის ბრძანებით ქართლისა და მესხთა ლაშქარი კლარჯეთს შეიყარა. თვითონაც შიდა-სპით შეუერთდა მათ და მოულოდნელად დაესხა თავს გულდამშვიდებით მყოფ სელჩუკებს. დავით აღმაშენებლის მოლაშქრეებმა მოსრეს მტერი,.

1117 წელს დავით აღმაშენებელმა აიღო ციხე-ქალაქი გიში და შეიპყრო ასათ და შოთა გრიგოლისძენი. გიში წუქეთის საერისთავოს ცენტრი, ამასთან ფეოდალური საგვარეულოს — გიშელების, იგივე გრიგოლის ძეთა რეზიდენცია იყო. იმავე წელს დავით აღმაშენებელმა თავისი ძე დემეტრე შირვანს გაგზავნა **„სპითა ძლიერითა“** სალაშქროდ. **დემეტრე დავითის ძემ, „ქმნნა ომნი საკჳრველნი, რომლითა განკჳრვნა მხილველნი და მსმენელნი“, აიღო ციხე ქალაძორი, ურიცხვი ტყვე წამოიყვანა და დიდძალი ალაფი წამოიღო. ასე ძლევამოსილი წარუდგა უფლისწული მეფეს.**

1118 წელს, ადრე გაზაფხულზე, ბზობას, დავით აღმაშენებელმა ნახიდურს ზატიკი (სააღდგომო ზეიმი) გადაიხადა. აქ მას მოახსენეს ამბავი თურქ-სელჩუკების მიერ ჯავახეთში ბეშქენ ჯაყელის მოკვლის შესახებ. დავით აღმაშენებელმა სასწრაფოდ გაილაშქრა და რახსის (არაქსის) პირას მდგომ სელჩუკებს დაესხა თავს, „მოსრა სიმრავლე მათი, და წამოიღო ტყუე და ალაფი ურიცხჳ“.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1118 წელს დავით აღმაშენებლის მიერ ციხე-ქალაქ ლორეს აღებას. ეს ქალაქი 1065 წლიდან კვირიკიანების დინასტიის მიერ შექმნილი ტაშირ-ძორაკერტის სამეფოს ცენტრი გახდა. ლორე თავისი მიმდებარე ტერიტორიით საქართველოს შემოუერთდა და განსაკუთრებული სამხედრო მნიშვნელობის გამო ამირსპასალართა რეზიდენციად იქცა. 1118 წლის ივლისში აიღეს აგარანი...

ნების დამყოლნი და უპრეტენზიონი...

პოლიტიკურად, ეკონომიკურად და კულტურულად ზეაღმავალი საქართველოსთვის, რომლის საშინაო და საგარეო გეგმები სულ უფრო მზარდი და მრავლისმომცველი იყო, აუცილებელი გახდა ლაშქრის გამრავლებისათვის ქმედითი, გონივრული ზრუნვა. სახელმწიფოსა და მისი მეფის მიერ დასახული დიდი ამოცანების გადასაწყვეტად საკმარისი არ იყო ის ღონისძიებები, რომელიც დავით აღმაშენებელმა თავისი მეფობის პირველ ეტაპზე სამხედრო საქმის ორგანიზაციის მიზნით გაატარა. ლაშქრის სიმრავლე განსაკუთრებით საჭირო გახდა მას შემდეგ, რაც დავით აღმაშენებელმა ზედიზედ აიღო მრავალი ციხე-ქალაქი. რა თქმა უნდა, გამუდმებულმა ბრძოლებმა ქართული ლაშქარი დაღალა და რიცხობრივად შეამცირა. ამასთან, მოპოვებული გამარჯვებების განმტკიცების მიზნით ლაშქრის ერთი ნაწილი „ქალაქთა და ციხეთა შინა მდგომად და დამჭირველად“ იქნა განწესებული.

ამოცანა დიდი და მნიშვნელოვანი იყო — ლაშქარი რიცხობრივად ისე უნდა გამრავლებულიყო, რომ ქვეყნის ზეაღმავალი ეკონომიკის განვითარება არ შეწყვეტილიყო, ე.ი. მატერიალური დოვლათის მწარმოებელი ხალხი არ უნდა მოწყვეტილიყო თავისი ძირითადი სამუშაოდან. საქართველოს სახელმწიფოს მესვეურებმა ყივჩაყთა გადმოსახლებისაკენ აიღეს გეზი. რატომ გადაწყდა მაინცდამაინც ყივჩაყების გადმოყვანა და მათგან მუდმივი ლაშქრის შექმნა? ყივჩაყების ყოფა-ცხოვრებაში საქართველოს მეფემ და სამეფო კარმა შენიშნა ის ფაქტორები, რომლებმაც განაპირობეს სწორედ ყივჩაყებისკენ (და არა სხვა ხალხისკენ) გეზის აღება. ყივჩაყები კავკასიონის ჩრდილოეთით, მდ. დონიდან მოკიდებული კასპიის ზღვის ნაპირებამდე ცხოვრობდნენ. ისინი განვითარების დაბალ საფეხურზე იდგნენ. მათში XII საუკუნეში ჯერ კიდევ გვაროვნული წყობილება იყო და ტომებად ცხოვრობდნენ. ყივჩაყები ცნობილნი იყვნენ კარგი საბრძოლო თვისებებით, ამასთან — ნების დამყოლნი და უპრეტენზიონი. დავით აღმაშენებელმაც კარგად „უწყოდა კეთილად ყივჩაყთა ნათესავისა სიმრავლე, და წყობათა შინა სიმხნე, სისუბუქე და მიმოსლვა, სიფიცხე მიმართებისა, ადვილად დასამჭირველობა და ყოვლითურთ მომზავებლობა ნებისა თჳსისა“ (ქართლის ცხოვრება, თბ., 2008, გვ. 318-319).

დემეტრე დავითის ძემ, „ქმნნა ომნი საკჳრველნი, რომლითა განკჳრვნა მხილველნი და მსმენელნი“, აიღო ციხე ქალაძორი, ურიცხვი ტყვე წამოიყვანა და დიდძალი ალაფი წამოიღო. ასე ძლევამოსილი წარუდგა უფლისწული მეფეს.

დემეტრე I. მეფედ კურთხევის სცენა.
მასხვარიშის ფრესკა

სამხრეთ რუსეთის სტეპებში ყივჩაყები პირველად XI საუკუნის შუახანებში გამოჩნდნენ. 1091 წელს ბიზანტიის იმპერიასთან, ალექსი კომნენთან ერთად შეკავშირებულებმა გაანადგურეს პაჭანიკები და აქედან მოკიდებული მოსვენებას არ აძლევდნენ კიევის რუსეთს. იპატის მატიანის ავტორი წუხილით აღნიშნავდა: „Створи бо ся плачь велику у земле нашей, и опустеша села наша и городн наши, и бигающе и пред враги нашими“.

ყივჩაყთა წინააღმდეგ ქმედითი ბრძოლები ჩაატარა პერეიასლავის, შემდეგში კიევის მთავარმა ვლადიმერ ვსევოლოდის ძე მონომახმა. მან მომთაბარეები რუსეთის საზღვრების გარეთ განდევნა, რამაც ხელი შეუწყო ყივჩაყთა გადმოსახლებას საქართველოში. საქართველოს სამეფო კარის მიერ სწორედ ყივჩაყების გადმოსახლებაზე გეზის აღების მიზეზი, მათ კარგ საბრძოლო თვისებებთან, „ადვილად დასამჭირვლობასა“ და „ყოვლითურთ მომზავებლობასთან“ ერთად, განვითარების დაბალი დონე იყო, რაც ყივჩაყების უმტკივნეულოდ ჩამოსახლებისა (ამასთან „უადვილეს იყვნეს მოსლვად მახლობელობითაცა და უპოვარებითა“) და მათზე ზეგავლენის მოხდენის საშუალებას იძლეოდა. დავით აღმაშენებლისა და ყივჩაყთა მთავრის მოყვრობის საკითხი ამ ღონისძიების ფაქტორზე კატალიზატორის როლს ასრულებდა.

დავით აღმაშენებელმა საქართველოს სამეფო ლაშქარში ყივჩაყთა მოსაწვევად გაგზავნა „კაცნი სარწმუნონი“. ყივჩაყები სიხარულით შეხვდნენ ამ მოწოდებას, საქართველოს მეფეს გადმოსახლებაზე თანხმობა შემოუთვალეს და მოითხოვეს ოსეთზე უსაფრთხოდ გამოვლის უზრუნველყოფა („გზა მშვიდობისა ოვსთაგან“). მეფე თვითონ გაემგზავრა ოსეთს (არსებობს პავლე ალეპოელის ცნობა ყივჩაყთა გადმოსახლების თაობაზე. დავით აღმაშენებლის მიერ ვლადიმერ მონომახთან მოლაპარაკების შესახებ). როგორც ჩანს, იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ყივჩაყთა ჩამოსახლებასთან ერთად ოსეთთან ურთიერთობას და არ არის შემთხვევითი, რომ მან თან გაიყოლა გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი. საქართველოს ძლიერი მეფის სტუმრობა ოსთათვის დიდი მოვლენა იყო. შევიდა თუ არა დავით აღმაშენებელი ოსეთში, **„მოეგებნეს მეფენი ოვსეთისანი და ყოველნი მთავარნი მათნი, და ვითარცა მონანი დადგეს წინაშე მისსა“** (ქართლის ცხოვრება, თბ., 2008, გვ. 319). დავით აღმაშენებელმა ოსები და ყივჩაყები შეათანხმა და **„ყო შორის მათსა სიყუარული და მშვიდობა ვითარცა ძმათა“**. ამ შეთანხმების სიმტკიცის საწინდრად დავით აღმაშენებელმა მძევლები ჩამოართვა ორივე მხარეს, თვითონ კი **„აღიხუნა ციხენი დარიალასა და ყოველთა კართა ოვსეთისათა და კავკასიისა მთისანი და შექმნა გზა მშვიდობისა — ყივჩაყთათვის“**.



ყივჩაყი მეომრები

დავით აღმაშენებელმა, მისივე ისტორიკოსის ცნობით, „ყივჩაყნი დააყენა ადგილთა მათ მარჯუეთა დედა-წულითა მათითა, რომელთა თანა იყო წყობად განმავალი რჩეული ორმოცი ათასი“ (ქართლის ცხოვრება, თბ., 2008, გვ. 320). ე.ი. სამეფო კარმა საქართველოში გადმოიყვანა ყივჩაყთა ორმოცი ათასი ოჯახი („დედა-წულთა მათითა“). დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი არ ასახელებს ადგილს, რომელზეც ყივჩაყები დასახლდნენ, ისე კი ამბობს „ადგილთა მათ მარჯუეთა“ დააყენაო დავით აღმაშენებელმა. ჩვენი აზრით, საფუძვლიანი უნდა იყოს ვარაუდი (ივ. ჯავახიშვილი, შ. მესხია, ა. კიკვიძე და სხვ.), რომ ყივჩაყების დასახლებლად გამოყენებული იყო უმთავრესად ის ადგილები, რომლებიც ჯერ არაბთა, ხოლო შემდეგ თურქ-სელჩუკთა მძლავრობის დროს დაცარიელდა. ყივჩაყთა სწრაფი გაქრისტიანება და მათი შერწყმა ადგილობრივ (ქართულ) მოსახლეობასთან საქართველოს სამეფო კარის მიზანი იყო.

ამგვარად, 1118-1119 წლებში ძირითადად გადაწყდა მუდმივი ლაშქრის გაზრდის პრობლემა. ამ ლაშქრის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდნენ ყივჩაყები. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მიხედვით, ისინი ორმოცი ათასი იყვნენ. მათ გარდა მუდმივ ლაშქარში, ცხადია, ქართველებიც იყვნენ. ვახუშტი ბაგრატიონისა და იოანე ბატონიშვილის მტკიცებით, დავით აღმაშენებელს ჰყავდა სამოციათასიანი მუდმივი ლაშქარი. აქედან თუკი ორმოცი ათასი ყივჩაყი იყო, ბუნებრივია, დანარჩენი ოცი ათასი ქართველი იქნებოდა. ვახუშტი ამ ლაშქარს „მარადის მცველს“ უწოდებს, იოანე ბატონიშვილი კი აღნიშნავს, რომ დავით აღმაშენებელს „ყოველთვის მზად ჰყვა როჭიკით სამოცი ათასი მხედარი კაცი“.

1120 წლისათვის საქართველოს ძლიერი ლაშქარი სრულ საომარ მზადყოფნაში იყო. მუდმივი ლაშქრის შექმნამ, საგანგებო გაწვრთნამ და მკაცრი დისციპლინის შემოღებამ დიდი სარგებლობა მოუტანა საქართველოს: ქვეყანა გაამაგრა, გააძლიერა, გარეშე მტრებს კი თავზარი დასცა. მუდმივი ჯარის შემოღებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს დავით აღმაშენებელს გევრი დიდგვაროვანი ფეოდალი უწუნებდა, მაგრამ დიდმნიშვნელოვანმა ნაბიჯმა თავისი ნაყოფი გამოიღო. სამხედრო რეფორმის ორგანიზებულად გატარების შემდეგ, 1120 წლიდან 1125 წლამდე დიდი წარმატებები მოიხვეჭა საქართველოს სახელმწიფომ.

აღარავინ დარჩა „მთხრობი ამბისა“

თურქ-სელჩუკები, როგორც კი მეფეს შორს დაიგულვებდნენ (მათი მსტოვრების მონაცემების მიხედვით), დასაზამთრებლად „ჩამოდგებოდნენ“ ხოლმე. 1120 წლის თებერვალში დავით აღმაშენებელი ჯერ გეგუთში წავიდა, იქიდან კი ხუფათს გადავიდა. სელჩუკებმა „სცნეს რა სიშორე მისი ჩამოდგეს ბოტორას, დიდნი ფრიად, და დაიზამთრეს“. მეფეს მხედველობიდან არ გამოჰპარვია მტრის მოქმედება, სწრაფად „გარდამოიფრინვა“, თოთხმეტ თებერვალს დაესხა თავს და ერთიანად გაავლო მუსრი, თანაც ქართველებმა დიდძალი ტყვე და ალაფი იგდეს ხელთ.

შემდეგ დავით აღმაშენებელმა შირვანის ქალაქი ყაბალა აიღო, გამობრუნდა ქართლში, სწრაფად შეკრიბა ლაშქარი, ჩავიდა შირვანს, „მაისსა შჳდსა, არბია ლიჟათათ“, ვიდრე ქურდევანამდე და ხიშტალანთამდე. 1120 წლის ნოემბერში დავით აღმაშენებლის ლაშქარმა „მოსრნა და იავარყვნა“ თურქ-სელჩუკები აშორნიას და სევგელამეჯს. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი გადმოგვცემს რა სელჩუკთა ამ მწარე მარცხის შესახებ, აღნიშნავს, რომ დავითმა მტერს „არა დაუტევა მოტირალი კარავთა მათთა“ (ქართლის ცხოვრება, თბ., 2008, გვ. 322). 1120-1121 წლების ზამთარში დავით აღმაშენებელი ჩავიდა „აფხაზეთს ბიჭჳნტამდე და განაგნა საქმენი მანდაურნი“. ისტორიკოსი განმარტავს, თუ რას ნიშნავს „განაგნა საქმენი“. მეფემ წყალობის ღირსი შეიწყალა, ხოლო „შემცოდენი“ (როგორც ჩანს, ასეთებიც ყოფილან) შეიპყრო და „წუართნა“. 1121 წლის მარტში დავით აღმაშენებელი დაესხა ხუნანს და ისე გაანადგურა მტერი, რომ აღარავინ დარჩა „მთხრობი ამბისა“. ყივჩაყთა რაზმით ადიდებულ მტკვარზე გადავიდა და 1121 წლის ივნისში დაარბია ბარდავის საზამთრო საძოვრებზე დაბანაკებული სელჩუკები.

როგორც აშკარად ჩანს, დავით აღმაშენებელი თურქ-სელჩუკებს უსპობდა საარსებო წყაროებს და მიერეკებოდა საქართველოდან. რომ საქართველოს სამეფო კარი, მისი ლაშქარი სამამულო ომს აწარმოებდა არა სეზონურად, მხოლოდ ზაფხულობით, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ევროპაში, არამედ წლის ყოველ დროში.

(გაგრძელება იძნება)

როგორ იყენებს კრემლი ჰიბრიდულ ომში რუსულ პასპორტებს საქართველოსა და უკრაინის წინააღმდეგ

უკრაინის პრემიერ-მინისტრის მოადგილისა და დროებით ოკუპირებული ტერიტორიების რეინტეგრაციის მინისტრის, ოლექსეი რეზნიკოვის განცხადებით, ყირიმსა და აღმოსავლეთ უკრაინაში რუსული „პასპორტიზაცია“ 2.9 მილიონ უკრაინელს შეეხო. 2020 წლის ნოემბერში რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივანმა, დიმიტრი პესკოვმა კიდევ ერთხელ გააჟღერა კრემლის პროპაგანდის ერთ-ერთი ცენტრალური მესიჯი, რომლის მიხედვით რუსეთი ყოველთვის იცავდა და დაიცავს რუსების ინტერესებს, საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად.

ოფიციალურმა მოსკოვმა რუსეთის მოქალაქეების დაცვის აუცილებლობა უკანონო სამხედრო ინტერვენციის გასამართლებლად საქართველოშიც გამოიყენა და უკრაინაშიც. ეს გასაკვირი არც არის, რუსეთი ხომ დიდი ხანია, საერთაშორისო სამართლის ნორმების საკუთარ ინტერესებზე მორგებას ცდილობს.

„პასპორტიზაცია“ რუსეთმა ფორმალურად 2002 წელს დაიწყო, როდესაც მოქალაქეობის შესახებ კანონი მიიღო. თუმცა, ამ მეთოდს მოსკოვი ოკუპირებულ აფხაზეთში ჯერ კიდევ 1999 წლიდან იყენებდა. „პასპორტიზაცია“ თავდაპირველად ბალტიის რეგიონის ქვეყნებზე იყო გათვლილი, ყველაზე მეტად კი — ლატვიასა და ესტონეთზე. გავლენის შენარჩუნებისთვის კრემლმა ბალტიისპირეთში მცხოვრები უამრავი, მოქალაქეობის არმქონე პირის კაპიტალიზაცია მოახდინა და მათ რუსული პასპორტები დაურიგა. მოგვიანებით, ბალტიის ქვეყნების ევროპული ინტეგრაციის შესაჩერებლად სწორედ ეს ახალი, რუსეთის მოქალაქეები გამოიყენა და მათ სხვადასხვა დროს რეგიონის ევროატლანტიკური მისწრაფებების გაპროტესტებას ავალებდა. ასე იქმნებოდა ილუზია, თითქოს, ამ ქვეყნების მოქალაქეების დასავლეთის სასარგებლოდ გაკეთებული არჩევანი ერთიანი და მყარი არ იყო, თუმცა, საბოლოოდ, რუსეთს ბევრი არაფერი გამოუვიდა.

2020 წლის გაზაფხულზე რუსეთმა მოქალაქეობის შესახებ კანონში ცვლილებები შეიტანა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის მოქალაქეობის მიღება გაამარტივა. კრემლმა ორმაგ მოქალაქეობაზე აკრძალვა ყოფილი საბჭოთა კავშირის წევრი ქვეყნებისთვის მოხსნა. ეს ცვლილებები შეეხო მოლდოვას, უკრაინას, ბელარუსსა და ყაზახეთს.

გაეროში უკრაინის მისიის მუდმივი წარმომადგენლობის პრესცენტრმა ალექსეი რეზნიკოვის განცხადება გაავრცელა, სადაც საუბარია დონბასში 400ბ000-მდე, ყირიმში კი 2.5 მილიონამდე უკრაინელისთვის იძულებით რუსული პასპორტების დარიგებაზე. რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ მაისში დაადასტურა, რომ აღმოსავლეთ უკრაინაში 527,000-ზე მეტმა ადამიანმა მიიღო რუსეთის მოქალაქეობა. რუსეთის სახელმწიფო დუმის დსთ-ის საქმეთა, ევრაზიული ინტეგრაციისა და თანამემამულეებთან ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის, ვიქტორ ვოდოლაცკის განცხადებით, 2021 წლის ბოლომდე დონეცკისა და ლუგანსკის ე.წ. სახალხო რესპუბლიკებში რუსეთის მოქალაქეობის გამარტივებული პროცედურით მიღების მსურველთა რაოდენობა შესაძლოა, ერთ მილიონამდე გაიზარდოს. აქვე აუცილებლად უნდა გავიხსენოთ რუსეთის პრეზიდენტის არალეგიტიმური კანონი, რომელიც მარტში შევიდა ძალაში და ანექსირებულ ყირიმში რუსეთის მოქალაქეობის არმქონე პირებს საკუთრების უფლებას უზღუდავს. ეს კიდევ ერთი ზეწოლის იარაღია და უფრო მეტი უკრაინელის რუსად გადაქცევის მიზანს ემსახურება.

რუსული „პასპორტიზაცია“ რამდენიმე ეტაპისგან შედგება. თავდაპირველად, რუსეთი გამარტივებული პროცედურების საშუალებით ქვეყნის ფარგლებს გარეთ, მოკლე დროში, იმ ქვეყნის სამართლებრივი თანხმობის გარეშე, რომლის ტერიტორიაზეც „პასპორტიზაცია“ ხორციელდება, ასიათასობით ადამიანს რუსეთის მოქალაქეობას ანიჭებს, შემდეგ კი ამტკიცებს, რომ მათი დაცვის ვალდებულება აქვს, თანაც — აუცილებლად სამხედრო ინტერვენციის გზით. „პასპორტიზაციის“ თავისი არსით სრულად ემთხვევა კრემლის მიდრეკილებას, თავის ნებაზე განმარტოს საერთაშორისო სამართალი იქ, სადაც და როგორც მოესურვება. კრემლი თავად და უკანონოდ ქმნის წინაპირობას და შემდეგ არასწორ სამართლებრივ არგუმენტებს არგებს. არასწორს იმიტომ, რომ, საერთაშორისო სამართლით, მოქალაქესა და სახელმწიფოს შორის ფაქტობრივი კავშირი უნდა არსებობდეს, ნატურალიზირებული მოქალაქე მჭიდრო კავშირში უნდა იმყოფებოდეს მოქალაქეობის გამცემ ქვეყანასთან. ასეთი კავშირი სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრებ ასიათასობით ადამიანსა და რუსეთს შორის ფიზიკურად ვერ იარსებებს, ამიტომაც, მოსკოვს ახლადგაჩენილი, რუსეთის მოქალაქეების დიპლომატიური გზებით დაცვის უფლებაც კი არ აქვს, არათუ სამხედრო გზით.

2008 წლის 8 აგვისტოს რუსეთის მაშინდელმა პრეზიდენტმა, დიმიტრი მედვედევმა ქართველი სამხედროები ცხინვალში რუსი სამშვიდობოებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ აგრესიის აქტში დაადანაშაულა და დასძინა, რომ მოსახლეობის უმრავლესობა რუსეთის მოქალაქე იყო. მოგვიანებით, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მედვედევის განცხადება განავრცო და საქართველო რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ სამხედრო ძალის გამოყენებაში დაადანაშაულა, რაც, კრემლის აზრით, გაეროს წესდების 51-ე მუხლის თანახმად მოსკოვს თავდაცვის უფლებას ანიჭებდა. აგვისტოს ომის შემსწავლელმა საერთაშორისო დამოუკიდებელმა კომისიამ დაადგინა, რომ რუსეთის „პასპორტიზაციის“ პოლიტიკა ფაქტობრივი კავშირის გარეშე სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე განსაკუთრებით დიდი რაოდენობით პასპორტების დარიგებით, საერთაშორისო სამართლის პრინციპების უხეში დარღვევაა.

2008 წლის ომის შემდეგ, უკრაინელი პოლიტიკოსები ქვეყნის ტერიტორიაზე და, განსაკუთრებით, ყირიმში რუსეთის მოქალაქეების მზარდი რიცხვის გამო ღელავდნენ. უკრაინის კანონით ორმაგი მოქალაქეობა აკრძალული იყო, თუმცა, სიმფეროპოლში რუსეთის საკონსულო მაინც აქტიურად არიგებდა პასპორტებს. უკრაინელების შიში, რომ საქართველოს მსგავსად მათთანაც რუსეთი მოქალაქეებს სამხედრო ინტერვენციისთვის გამოიყენებდა, გამართლდა. 2014 წელს, ფაქტობრივად, ისტორია განმეორდა და ახლა უკვე კარგად დაგეგმილი „პასპორტიზაციის“ მსხვერპლი უკრაინა გახდა. ყირიმის ანექსიას მასიური „პასპორტიზაცია“ უძღოდა წინ. 2014 წლიდან აღმოსავლეთ უკრაინაში შექმნილი ვითარების ფონზე, რუსეთის ოფიციალური პირები ღიად საუბრობენ სეპარატისტული რეგიონების ინტერესების დაცვის შესახებ. 2019 წლის 24 აპრილს რუსეთის პრეზიდენტმა დონეცკისა და ლუგანსკის არაღიარებული ე.წ. სახალხო რესპუბლიკებში მცხოვრებთათვის რუსეთის მოქალაქეობის გამარტივებული პროცედურით მინიჭების შესაძლებლობის შესახებ ბრძანებას ხელი მოაწერა. პირველი პასპორტები 2019 წლის 14 ივლისს გაიცა. 2021 წლის 8 აპრილს რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის გავლენიანმა მოადგილემ, დიმიტრი კოზაკმა, რომელიც უკრაინის მიმართულებას კურირებს, ღიად განაცხადა, რომ **„რუსეთი შეიძლება, აიძულონ, დაიცვას საკუთარი მოქალაქეები დონბასში და რუსეთი ამას გააკეთებს.“**

საერთაშორისო საზოგადოება მეტი სერიოზულობით უნდა მოკიდებოდა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ სერგეი ლავროვის განცხადებებს: **„ჩვენი მოქალაქეების სიცოცხლესა და ღირსებას დავიცავთ ყველგან, სადაც უნდა იყვნენ ისინი.“** ნატოში რუსეთის წარმომადგენელი 2008 წელს აცხადებდა, რომ რუსეთის მოქალაქეების დასაცავად სამხედრო ძალის გამოყენება კრემლისთვის პრინციპის საკითხი იყო. რუსეთმა, ერთი მხრივ, საკუთარი მოქალაქეების ქვეყნის შიგნით დაცვის უფლებასა და ვალდებულებას, მეორეს მხრივ კი, საზღვრებს გარეთ მოქალაქეების დაცვის უფლებას შორის ზღვარი მიზანმიმართულად წაშალა. რუსული „პასპორტიზაცია“ კრემლის ინსტრუმენტია პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებზე გავლენის შესანარჩუნებლად.

ნატალია ჭანია

სად გადის წითელი ხაზები?

აშშ-ის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი აცხადებს, რომ პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან შეხვედრაზე ის მკაფიოს გახდის, თუ სად გადის წითელი ხაზები. ამის



შესახებ ბაიდენმა ნატოს სამიტის შემდეგ, შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე გ

„მკაფიოდ ვეტყვი პრეზიდენტ პუტინს, რომ არსებობს სფეროები, სადაც ჩვენ თანამშრომლობა შეგვიძლია, თუ ის ამას აირჩევს, ხოლო თუ ის აირჩევს, არ ითანამშრომლოს და იმოქმედებს იმგვარად, როგორც წარსულში კიბერუსაფრთხოებასთან და სხვა საქმიანობასთან დაკავშირებით მოქმედებდა, მაშინ ჩვენ პასუხს გავცემთ. ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ, შედის თუ არა ჩვენს ერთობლივ ინტერესებში და მსოფლიოს ინტერესებში თანამშრომლობა და შევხედოთ, თუ ამის გაკეთება შეგვიძლია. ასევე არის სფეროები, სადაც არ ვთანხმდებით, ჩვენ მკაფიოს გავხდით, სად გადის წითელი ხაზები“, — აღნიშნა ბაიდენმა. ამასთან, სამიტის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ჯო ბაიდენმა ვლადიმერ პუტინს ღირსეული მოწინააღმდეგე უწოდა.

ბირთვული იარაღის საბრძოლო ქობინების რაოდენობა გაზრდილია

ინფორმაციას სტოკჰოლმის საერთაშორისო მშვიდობის კვლევის ინსტიტუტზე (SAPRI) დაყრდნობით, საააგენტო „დოიჩე ველე“ ავრცელებს.

ინსტიტუტის ანგარიშში წერია, რომ გასული წლის მანძილზე მსოფლიოში ბირთვული იარაღის საბრძოლო ქობინების რაოდენობა 105-ით არის გაზრდილი, 3 720 ერთეულიდან 3 825 ერთეულამდე. აქედან 50 ერთეული აშშ-სა და რუსეთზე მოდის, რომლებსაც ექსპერტების თქმით, დაახლოებით 2 000 სრულ საბრძოლო მზადყოფნაში მყოფი ბირთვული ქობინი აქვთ საკუთარ არსენალში. ანგარიშის მიხედვით, მოსკოვი და ვაშინგტონი მათი ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიებში უფრო და უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ ბირთვული იარაღით შეიარაღებას. ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, ამჟამად მსოფლიოში 13 080 ერთეული ბირთვული იარაღია, რომლის 90 პროცენტი აშშ-სა და რუსეთზე მოდის.

ბირთვული იარაღი საკუთარ შეიარაღებაში ასევე დიდ ბრიტანეთს, სამხრეთ კორეას, ჩინეთს, საფრანგეთს, ისრაელს, ინდოეთს და პაკისტანს აქვთ.

ჩინეთი ნატოს აფრთხილებს!

ჩინეთი ნატოს მოუწოდებს, შეწყვიტოს ჩინეთის საფრთხის თეორიის გაზვიადება, — ამის შესახებ ევროკავშირში ჩინეთის მისიის განცხადებაშია ნათქვამი.

14 ივნისს ალიანსის ლიდერებმა ნატოს სამიტის დეკლარაციაში განაცხადეს, რომ ჩინეთის გაცხადებული ამბიციები და აგრესიული ქცევა სისტემურ გამოწვევას წარმოადგენს წესებზე დაფუძნებული საერთაშორისო წესრიგისთვის. ჩინური მხარე აცხადებს, რომ ნატომ ცილი დასწამა ჩინეთის მშვიდობიან განვითარებას და არასწორად შეაფასა საერთაშორისო ვითარება, რაც „ცივი ომის“ მენტალიტეტზე მიუთითებს.

„პუტინი მკვლელია?“

G7-ის სამიტის დროს დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს ბორის ჯონსონს ჟურნალისტებმა დაუსვეს კითხვა — ეთანხმება თუ არა ის ჯო ბაიდენის გამონათქვამს იმის შესახებ, რომ ვლადიმერ პუტინი მკვლელია. ჯონსონმა კითხვას პირდაპირ პასუხი არ გასცა, თუმცა პუტინის „მოღვაწეობაზე“ ვრცლად ისაუბრა.

ბრიტანეთის პრემიერმა აღნიშნა, რომ პუტინი „მიუღებელ საქმეებს აკეთებს“ და სრული დარწმუნებით განაცხადა, რომ სერგეი და იულია სკრიპალების მოწამვლის გადაწყვეტილება პირადად რუსეთის პრეზიდენტის მიერ არის სანქცირებული. მას არც ალექსეი ნავალნის საქმე გამორჩენია: **„ვერ ხედავთ, როგორ ექცევა თავის ყველაზე დიდ ოპონენტს, ალექსეი ნავალნის?“** — განაცხადა ჯონსონმა და დასძინა, რომ ციხეში ნავალნის ფაქტობრივად აწამებენ.

ᲛᲙᲕᲓᲐᲠ ᲑᲝᲠᲝᲢᲔᲑᲐᲡ ᲜᲣ ᲒᲐᲕᲐᲪᲝᲪᲮᲚᲔᲑᲗ

ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚ ᲗᲐᲝᲑᲔᲑᲖᲔ ᲤᲐᲨᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲘᲡ ᲞᲠᲔᲕᲔᲜᲪᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲐᲠᲐᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲣᲠᲘ ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲘᲐ – ფაშიზმი, მისი აშკარა კრახის მიუხედავად, საკმაოდ სიცოცხლისუნარიანია და თანამედროვე მსოფლიოშიც აგრძელებს სახეცვლილ არსებობას, ზეგავლენას ახდენს გარკვეულ სოციალურ ჯგუფებზე. პატრიოტიზმის, წესრიგისა და პროგრესულობის ნიღაბს ამოფარებული, სახე- და სახელშეცვლილი ფაშიზმი განსაკუთრებით ხიფათის შემცველია ახალგაზრდა თაობებისათვის, რომელთაც ის ემოციური მუხტი არ აქვთ წარსულთან, როგორიც უფროსი თაობების წარმომადგენლებს , გამომდინარე იქიდან, რომ უამრავი ადამიანი გახდა მეორე მსოფლიო ომის პირდაპირი თუ ირიბი მსხვერპლი.

ბუნებრივია, ეს მოსაზრება საქართველოსაც ეხება და ჩვენს საზოგადოებაშიც ინარჩუნებს აქტუალობას. აუცილებელია, სკოლის მოსწავლეებსა და უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს სასწავლო დაწესებულებებში ყოველთვის მიეწოდებოდეთ ამომწურავი ინფორმაცია ფაშისტური თეორიისა და პრაქტიკის შესახებ, რაც ისტორიის საგნის მეთოდურად გამართულ სწავლებასთან არის დაკავშირებული. არ უნდა მოხდეს ისე, რომ მოსწავლეს კითხვის ნიშნები, მეორე აზრის გამოტანის საშუალება დარჩეს, მიღებული ცოდნის შემდეგ. რა თქმა უნდა, ყოველგვარი ხელოვნური, ზეწოლის მაგვარი ჩარევა მიუღებელია და კონტრშედეგს გამოიწვევს, მაგრამ ისტორიული სინამდვილე გაუყალბებლად უნდა იქნას გადმოცემული.

პედაგოგებს, ლექტორებს, შესაბამისი მომზადება უნდა ჰქონდეთ, მათ მიერ წაკითხული გაკვეთილები და ლექციები მყარ თეორიულ ბაზას უნდა ეყრდნობოდეს. ამ პროცესის ხელშესაწყობად და წასახალისებლად, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ, განათლების და მეცნიერების კომიტეტთან შეთანხმებით, ჩატარდა სასწავლო-ისტორიული ხასიათის ღონისძიებები საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში (სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი), თბილისის ღია უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის, ასევე საშუალო სკოლების (თბილისის 92-ე და 28-ე, თელავის მე-3, ქარელის მე-2) პედაგოგებისა და მოსწავლეებისთვის. ლექციების კურსის ფარგლებში ხაზი გაესვა შემდეგ ისტორიულ კანონზომიერებებს: ფაშიზმი მოჩვენებითად არის პატრიოტიზმი, საბოლოო ჯამში ფაშიზმი სახელმწიფოს ანგრევს, რადგან იწვევს რეჟიმის შიდაპოლიტიკურ რეპრესიებს და საგარეო აგრესიას, დაპირისპირებას გარესამყაროსთან. რასიზმი, ბიოლოგიურ კატეგორიებში აზროვნება, რაც ფაშისტური იდეოლოგიის ქვაკუთხედს წარმოადგენს, მიუღებელია ქრისტიანული ცნობიერებისათვის, ეწინააღმდეგება საღ ადამიანურ აზრს და მხოლოდ მასების ფსიქოლოგიური მანიპულირებით ხდება ამ მასებისთვის მისაღები, მძიმე შედეგები კი გარდაუვალია.

ლექციის ფარგლებში ასევე აღინიშნა, რომ ფაშიზმი თავის მსხვერპლსაც ხშირ შემთხვევაში აქცევს აგრესორად და იყენებს სხვა ჯგუფების წინააღმდეგ. ასე მაგალითად, ისტორიული ფაქტია, რომ ფაშისტური (ნაცისტური) გერმანიის მიერ დაპყრობილ აღმოსავლეთ ევროპის რიგ ქვეყნებში (ბალტიისპირეთის, უკრაინის და სხვათა ტერიტორიებზე) ადგილობრივი მოსახლეობა თავად მიმართავდა დამპყრობელი ფაშისტების ადმინისტრაციას და დიდი სიბეჯითით ახდენდა სხვადასხვა ჯგუფების – პირველ რიგში, ებრაელების დარბევას, დეპორტაციას და მასობრივ ხოცვას. ეს, რასაკვირველია, არ ეხება მთელ ერებს, მაგრამ ამავე დროს, უტყუარი, ნიშანდობლივი ისტორიული ფაქტია. ამიტომ დაუშვებელია, როდესაც ვხედავთ მცდელობებს, ფაშისტურ რეჟიმთან თანამშრომლობა გაიგივებულ იქნას პატრიოტიზმთან – ეს იქნება ძირეული შეცდომა ისტორიის სწავლებისას.

საინტერესოა, როგორ უყურებენ ფაშიზმის პრევენციისათვის მიმართული საგანმანათლებლო ღონისძიებების დანერგვას სასკოლო და უმაღლეს დაწესებულებებში თავად განათლების სფეროს მესვეურები. განათლების და მეცნიერების სამინისტროს, პირადად მინისტრ მიხეილ ჩხენკელისა და განათლებისა და მეცნიერების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის, შალვა პაპუაშვილის კონსოლიდირებული პოზიციაა, რომ მოსწავლე ახალგაზრდობას ის დემოკრატიული ფასეულობები უნდა მიეწოდებოდეს, რომლებიც კონსტიტუციაშია ჩადებული, რაც ფაშიზმს უპირისპირდება კიდეც. თუმცა ზოგადი საუბრები საქმეს ვერ უშველის, აუცილებელია ცოდნის ამაღლება სხვადასხვა მეთოდებით, დამატებითი ხერხებით. განათლების სფეროს მესვეურები ამ მიდგომას პრინციპში ეთანხმებიან. ასე, შალვა პაპუაშვილმა ჩვენთან საუბარში განაცხადა:„სკოლაში მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო ხასიათის დამატებითი აქტივობები, იქნება ეს კურსები თუ კულტურული და შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებები, გასვლითი ღონისძიებები, მუზეუმების მონახულება და სხვა, რაც ემსახურება მოსწავლეთა ცოდნის ყოველმხრივ ამაღლებას. სწორედ ასე ყალიბდება დემოკრატიულ ფასეულობებზე დაფუძნებული განათლება“.

იმედია, საქართველოს განათლების სისტემა ამ საკითხს მომავალში მეტ ყურადღებას დაუთმობს და ფაშისტური იდეოლოგიის პრევენციას, სასწავლო პროგრამის ფარგლებში, კიდევ უფრო დახვეწს.

ᲜᲐᲗᲔᲚᲐ ᲒᲝᲒᲝᲚᲐᲫᲔ

ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲰᲐᲔᲠᲘᲕᲘᲗ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

GEORGIA'S INNOVATION & TECHNOLOGY AGENCY

ᲨᲔᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲐ ᲙᲝᲜᲢᲠᲐᲥᲢᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲐ: ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲘᲡ ᲡᲐᲞᲘᲚᲝᲢᲔ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ (TTPP)

ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲔᲚᲘ: ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲘᲜᲝᲕᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝᲒᲘᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ

ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ: ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ: P169599

ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ: **GE-GITA-232944-CS-CDS**

გამარჯვებული მონაწილე:	შპს მიქაძე, გეგეჭკორი, თაქთაქიშვილი
ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღი:	1 ივნისი, 2021
შერჩევის მეთოდი:	კონსულტანტის პირდაპირი წესით შერჩევის საფუძველზე
ხელშეკრულების ღირებულება:	52,000.00 ლარი (გადასახადების ჩათვლით)
ხელშეკრულების ხანგრძლივობა:	5 თვე
ხელშეკრულების ფარგლებში გასაწევი მომსახურება:	*ინტელექტუალური საკუთრებასთან დაკავშირებული იურიდიული საკონსულტაციო მომსახურება*

GEORGIA'S INNOVATION & TECHNOLOGY AGENCY

ᲨᲔᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲐ ᲙᲝᲜᲢᲠᲐᲥᲢᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲐ: ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲘᲡ ᲡᲐᲞᲘᲚᲝᲢᲔ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ (TTPP)

ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲔᲚᲘ: ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲘᲜᲝᲕᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝᲒᲘᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ

ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ: ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ: P169599

ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ: **GE-GITA-232942-CS-CDS**

გამარჯვებული მონაწილე:	CAOSA – Companhia de Bionegocios da Amazonia Ocidental
ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღი:	27 მაისი, 2021
შერჩევის მეთოდი:	კონსულტანტის პირდაპირი წესით შერჩევის საფუძველზე
ხელშეკრულების ღირებულება:	20,715.56 აშშ დოლარი (გადასახადების ჩათვლით)
ხელშეკრულების ხანგრძლივობა:	3 თვე
ხელშეკრულების ფარგლებში გასაწევი მომსახურება:	*ბრაზილიაში და ანდების ქვეყნებში SuperBran-ის პროდუქტების პოტენციალის ბაზრის კვლევის მომსახურება*

GEORGIA'S INNOVATION & TECHNOLOGY AGENCY

ᲨᲔᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲐ ᲙᲝᲜᲢᲠᲐᲥᲢᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲐ: ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲘᲡ ᲡᲐᲞᲘᲚᲝᲢᲔ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ (TTPP)

ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲔᲚᲘ: ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲘᲜᲝᲕᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝᲒᲘᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ

ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ: ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ: P169599

ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ: **GE-GITA-238998-CS-CDS**

გამარჯვებული მონაწილე:	Adelenys S.A.S
ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღი:	27 მაისი, 2021
შერჩევის მეთოდი:	კონსულტანტის პირდაპირი წესით შერჩევის საფუძველზე
ხელშეკრულების ღირებულება:	43,773.28 ევრო (გადასახადების ჩათვლით)
ხელშეკრულების ხანგრძლივობა:	6 თვე
ხელშეკრულების ფარგლებში გასაწევი მომსახურება:	*ინტელექტუალური საკუთრებასთან და პატენტის რეგისტრაციასთან დაკავშირებული იურიდიული საკონსულტაციო მომსახურება*

◎ რაგბი

მოთმინებითა თქვენითა

ძუთაისის „აიამ“ 26-წლიანი შესვენების შემდეგ მეოთხედ, ხოლო XXI საუკუნეში პირველად, საქართველოს ჩემპიონობა დაიბრუნა, რასაც სულითა და გულით ვულოცავთ!

საკუთარ სარბიელზე გამართულ „ოქროს მატჩში“ რიონისპირელებმა აწ უკვე ყოფილ გვირგვინოსან „ბათუმს“ 16:13 (10:3) სძლიეს.

ქულები: ლელო — **ჯინჭარაძე;** 3 საჯარიმო და გარდასახვა — ბაბუნაშვილი („აია“). იგი მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა. ლელო — **ურჯუკაშვილი;** 2 საჯარიმო და გარდასახვა — **ნინიძე** („ბათუმი“). მსაჯი — **ნიკა ამაშუკელი.**

„ბრინჯაოს“ ფინალი: „აკადემია“ — „ყოჩები“ (ბოლნისი) 24:17 (12:10).

◎ ევრო — 2020

უნდა ვალიაროთ, რომ ევროპის ჩემპიონატის სასტარტო ტურში ყველაზე სანახაობრივი და, რაც მთავარია ფეხბურთში, გოლუხვი მოვლენები „გ“ ჯგუფში განვითარდა, რასაც თან სათავგადასავლო ჟანრის სიუჟეტიც ახლდა ჩვენთვის კარგად ნაცნობ ნაკრებთა მონაწილეობით.

ავსტრია - მაკედონია 3:1

გოლები: ლაინერი, გრეგორიჩი, არნაუტოვიჩი; პანდევი. კონტინენტური ფორუმის დებიუტანტები უბერებელი პანდევის ძალისხმევით 78-ე წუთამდე ღირსეულად უმკლავდებოდნენ მათზე ბევრად გამოცდილ მეტოქეს, მაგრამ ბოლომდე ვერ „გაქაჩეს“.

ნიდერლანდები - უკრაინა 3:2

გოლები: ვეინალდუმი, ვეგჰორსტი, დუმფრისი; იარმოლენკო, იარემჩუკი.

ქებათაქება ანდრეი შევჩენკოს გუნდს, რომელმაც ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტს სტუმრად ორბურთიანი ჩამორჩენა გაუბათილა, მაგრამ...

„დ“ ჯგუფი

ინგლისი - ხორვატეთი 1:0.

გოლი: სტერლინგი. უსახური მატჩი მასპინძლებმა ოფლის დაუღვრელად მოიგეს.

შოტლანდია - ჩეხეთი 0:2.

გოლები: შიკი (2).

დაძაბული ბრძოლის გმირის — პატრიკ შიკის დუბლიდან აღსანიშნავია მინდვრის ცენტრიდან გატანილი მეორე ბურთი.

„ე“ ჯგუფი

პოლონეთი - სლოვაკეთი 1:2

შეხვედრათა კრიალოსანი

გოლები: ლინეტი; შჩესნი (საკუთარ კარში), შკრინიარი.

ეს მატჩი ფორუმის პირველი გაძევებითა (კრიხოვიაკი) და მეორე ავტოგოლით აღინიშნა, გამარჯვების ბურთის ავტორმა, „ინტერის“ შემადგენლობაში „სერია ა“-ს ჩემპიონმა შკრინიარმა კი უშუალო მოვალეობასაც ღირსეულად გაართვა თავი და თამაშიდან თვით ლევანდოვსკი გამოთიშა.

ესპანეთი - შვედეთი 0:0

პირველად არსებობის მანძილზე, ესპანეთის ნაკრების თავკაცმა ლუის ენრიკემ გუნდში მადრიდის „რეალიდან“ არავინ მიიწვია, რასაც ბუსკეტსის დავირუსებაც დაემატა, ამიტომ სევილიაში გამართული ბრძოლის შემდეგ მასპინძლები კმაყოფილნი უნდა იყვნენ, მეტოქემ ორი ნაღდი მომენტი რომ გაფლანგა.

* * *

კოპა ამერიკა. | ტური. ბრაზილია — ვენესუელა 3:0 (მარკინიოსი, ნეიმარი — პენალტით, ბარბოსა), კოლუმბია — ეკვადორი 1:0, არგენტინა — ჩილე 1:1 (მესი; ვარგასი), პარაგვაი — ბოლივია 3:1.

◎ საუკუნის ლიდერი

სულით უტეხი რაინდი

ამ წერილის **გამოქვეყნებას წლეულს 7 მარტს ვაპირებდი, ჟიული შარტავას დაბადების დღესთან დაკავშირებით. სამწუხაროდ, ავადმყოფობამ ხელი შემიშალა და ვერ შევძელი, თუმცა, ხომ იცით, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს... ჰოდა, სათქმელს დღეს მოგახსენებთ.**

1972 წელს, „მზად ვარ შრომისა და დაცვისათვის“ (მშდ) ახალი ფიზკულტურული კომპლექსის შემოღების შესახებ მთავრობის დადგენილება რომ გამოიცა, საქართველოს სპორტკომიტეტში ვმუშაობდი. კომპლექსი მოსახლეობის ფართო ფენების აქტიურ ჩართულობას და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლებას ისახავდა მიზნად. ნორმატივები მოიცავდა 10-დან 65 წლამდე 5 ასაკობრივ ჯგუფს. სპორტკომიტეტის მაშინდელმა თავმჯდომარემ **დავით პერტენავამ** შექმნა მშდ-ს განყოფილება, რომლის ხელმძღვანელობა დამევალა მე, საზოგადოებრივ საბჭოს კი სათავეში ჩაუდგა წარსულში ცნობილი მძლეოსანი, აკადემიკოსი **გიორგი შხვაცაბაია.** თვეში ერთხელ საბჭო ისმენდა და იხილავდა კომპლექსის ნორმატივის ჩაბარების ანგარიშს.

კომპლექსისადმი ინტერესის ასამაღლებლად, გადაწყდა საკავშირო ჩემპიონატების ჩატარება გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ პრიზზე. სოჭის, ბაქოსა და ტაშკენტის შემდეგ მორიგი, 1977 წლის ჩემპიონატის მასპინძლობა თბილისს ხვდა წილად. მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს ქვეყნის ყველა რესპუბლიკის, აგრეთვე მოსკოვის, ლენინგრადის, ბამისა და რსფსრ-ის მე-2 გუნდებმა.

მინდა მკითხველს მოვუთხრო ჩვენი ქვეყნის სპორტის ისტორიაში კომპლექსურ ასპარეზობათა შორის ამ ყველაზე წარმატებული ღონისძიების შესახებ.

29 ოქტომბერს ჩემპიონატი საზეიმოდ გაიხსნა თბილისის „დინამოს“ სტადიონზე. სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ვიქტორ სანეევმა** პატაკი ჩააბარა მთავარ მსაჯს, კოსმონავტ **ალექსეი ლეონოვს,** რომელმაც მაღალი შეფასება მისცა ორგანიზატორების მიერ ყველა მიმართულებით გაწეულ მუშაობას. თითოულ დელეგაციას ჰყავდა შეფი. მოსკოველებს, მაგალითად, თბილისის საავიაციო ქარხანა შეფობდა.

შეჯიბრებები გაიმართა ცურვაში, ტყვიის სროლაში, 100 მეტრზე რბენაში, ხელყუმბარის ტყორცნასა და მძლეოსნურ კროსში. გუნდები I, II, III, IV, V საფეხურის ნიშნოსნებით დაყოფილი იყვნენ ასაკობრივ კატეგორიებად. თითოეულს გამოჰყავდა 30 ნიშნოსანი. გამარჯვებული ვლინდებოდა მრავალჭიდის 5 სახეობაში ქულების შეჯამებით. საქართველოს ნაკრებმა წარმატებით აიღო სტარტი — ორი დღის შედეგებით მხოლოდ მოსკოვის გუნდი უსწრებდა, საბოლოოდ კი



2884 ქულით, 18 გუნდს შორის მე-5 ადგილი დაიკავა. მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდები უკონკურსოდ მონაწილეობდნენ, ამიტომ საბოლოოდ რესპუბლიკებს შორის რსფრ-ისა და უკრაინის შემდეგ მე-3 ადგილზე გავედით. ეს იყო სენსაცია, მით უფრო, რომ წინა ჩემპიონატში, ტაშკენტში მე-15 ადგილით დავკმაყოფილდით, რაც, ცხადია, უარყოფითად შეფასდა.

ჩვენი ნაკრების წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანა დედაქალაქის 83-ე სკოლის მოსწავლემ, 14 წლის **სერგო მურატოვმა,** რომელმაც 5 სახეობის ჯამში ყველაზე მეტი ქულა მოაგროვა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა. მე- IV საფეხურის ნიშნოსნებს შორის სულ ცოტა დააკლდა ჩემპიონობამდე **სერგეი მიაგკოვს,** რომელმაც სპორტის ოსტატობა შეასრულა.

ცალკეულ სახეობებში წარმატებით იასპარეზეს და ჩემპიონები გახდნენ: **საიდა გუმბა** — III საფეხურის ნიშნოსნებს შორის, რომელმაც ხელყუმბარა 53 მეტრზე, ტყორცნა. ამავე საფეხურში ვაჟთა შორის, ასევე ხელყუმბარის ტყორცნაში (64 მ) I ადგილი დაიკავა **ემზარ გორგოძემ,** ხოლო ცურვასა და ტყვიის სროლაში ჩემპიონობა მოიპოვა **კლარა გუმბამ.** ჩნდება კითხვა, წინა ჩემპიონატთან შედარებით, რამ განაპირობა ასეთი თვალსაჩინო წინსვლა?

ტაშკენტის ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ თათბირზე დამიბარეს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში. განიხილებოდა თბილისში დაგეგმილი მშდ კომპლექსის საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეობის საკითხი. ჟიული შარტავამ, რომელიც მაშინ ამ ორგანიზაციის პირველი მდივანი იყო, მთხოვა შემედგინა ჩვენი ნაკრები და მისი მომზადების გეგმა. სხვა საკითხებთან ერთად 3 ძირითადი თხოვნა მქონდა: **პირველი** — დაფინანსება; **მეორე** — ნაკრები გუნდის წევრებისთვის ორთვიანი სრული შეღავათები სამსახურებსა თუ სასწავლებლებში; **მესამე** — სტადიონით, საცურაო აუზითა და სასროლი ტირით უსასყიდლოდ სარგებლობა.

წარვუდგინე 60 სპორტმენისა და საუკეთესო მწვრთნელების სია. რამდენიმე დღეში შევიტყვე, რომ ერთი 45-დღიანი და ორი ორკვირიანი შეკრების ჩასატარებლად, აგრეთვე ნაკრების ეკიპირებისთვის გამოიყო დაფინანსება. მაშინ **ოთარ ჩერქეზია** იყო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი. აგვისტოში სომხეთში მოვაწყვეთ ის 45-დღიანი შეკრება, კიდევ ორი კი — ტყიბულსა და ბათუმში.

ასეთი წარმატებას ვერ მივაღწევდით, რომ არა პირადად ჟიული შარტავას უდიდესი მხარდაჭერა. ის არაერთხელ გვეწვია „დინამოს“ სტადიონზე, სისტემატურად ითხოვდა ანგარიშებს მზადების თაობაზე. ერთ-ერთ შეკრებაზე მოსულმა თანმხლებ თანამშრომელს ჰკითხა, რა გააკეთა გუნდის ეკიპირებისთვის. როცა მოისმინა, რომ თანამშრომელს (გვარს არ დავასახელებ) „დინამოს“ ფაბრიკისთვის მიუცია შეკვეთა, ძალიან გაბრაზდა. მერე ლატვიელ კოლეგას დაუკავშირდა და სთხოვა სპორტული ფორმის დამზადებაში დახმარება. ფაქტობრივად, სწორედ ის განაგებდა და წარმართავდა როგორც ჩვენი გუნდის მზადებას, ისე ღონისძიების საზეიმო გახსნის და დახურვის ცერემონიების ორგანიზებას.

ასეთი იყო ეროვნული გმირი ჟიული შარტავა. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სპორტკომიტეტს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია ნაკრები გუნდის მომზადებაში (კომიტეტის თავმჯდომარე **დავით პერტენავა** იმ პერიოდში მოსკოვში მკურნალობდა. მის მოვალეობას მოადგილე **შოთა ქველიაშვილი** ასრულებდა).

ჩემპიონატის დამთავრებიდან მეორე დღეს მთავარი მსაჯის მოადგილე ეწვია შ. ქველიაშვილს და სთხოვა ანკეტური მონაცემები **გივი მძელურზე,** მაგრამ უარი მიიღო, არ იმსახურებს რაიმე დაჯილდოებაზე წარდგენასო. სტუმარი აღაშფოთა მისმა საქციელმა და პროფკომიტეტის თავმჯდომარესთან შეხვედრა მოითხოვა, რომელმაც მისცა ანკეტური მონაცემები ჩემზე და განუცხადა, რომ გ. მძელური არის ერთ-ერთი საუკეთესო თანამშრომელი და იმსახურებს დაჯილდოებაზე წარდგენას. მინდა აღვნიშნო, რომ შ. ქველიაშვილმა ასევე უარი განაცხადა ჩემს თხოვნაზე, მწვრთნელები — **ე. მაროტი** (ცურვა), **ს. შჩერბინა** და **ზ. ჯარაშნელი** (ორივე — მძლეოსნობა), **თ. ხერხეულიძე** და **გ. ბოსტოღანაშვილი** (ორივე — ტყვიის სროლა), რომლებმაც მოამზადეს ჩვენი ნაკრების სპორტსმენები, წარედგინა დამსახურებული მწვრთნელის წოდებაზე.

ჩემპიონატის დამთავრება 300-ზე მეტი სტუმრის მონაწილეობით, გრანდიოზული ბანკეტით აღინიშნა. ყველაფერს რომ მოვრჩით, ბატონმა ჟიულიმ დამიბარა და მადლობა გადამიხადა გვერდში დგომისათვის. თან დამპირდა, რომ წარმადგენდა საკავშირო ჯილდოზე. სულ მალე მივიღე კიდეც საკავშირო სოცშეჯიბრებაში გამარჯვებულის მოწმობა. ეს იყო ჩემთვის ყველაზე დიდი დაფასება. ცალკე მინდა აღვნიშნო გაზეთ „ლელოს“ რედაქციის მიერ გაწეული დიდი მუშაობა ჩემპიონატის გაშუქების საქმეში.

ჟიული შარტავა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დროს გმირულად იბრძოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის. მას შეეძლო გარიდებოდა კონფლიქტს, მაგრამ ტყვედ აიყვანეს, მხეცურად აწამეს და დახვრიტეს. ჟიული შარტავას, როგორც ჭეშმარიტი რაინდის ნათელი ხსოვნა, სამარადისოდ დარჩება ერის ცნობიერებაში...

ერთობ საგულისხმოდ მეჩვენება, თვალი გადავავლოთ თბილისში გამართული მშდ კომპლექსში სსრ კავშირის ჩემპიონატის მაშინდელ შედეგებს.

რსფსრ I	3474
ლენინგრადი	3273
მოსკოვი	3071
უკრაინა	3065
საქართველო	2884
აზერბაიჯანი	2861
ლატვია	2810
ესტონეთი	2764
უზბეკეთი	2754
ყაზახეთი	2753
რსფსრ II	2752
ბელორუსია	2728
ლიტვა	2690
სომხეთი	2588
მოლდავეთი	2301
ყირგიზეთი	2185
ტაჯიკეთი	2087
ბამი	1969
თურქმენეთი	1811

გივი (გაიოზ) მძელური,
საქართველოს სპორგის დამსახურებული მოღვაწე, ღირსების ორდენის კავალერი.

◎ როცა გული არა გულობს

გახსოვდეს, რომ ხარ ადამიანი,

ორშაბათს, აგერ ახლა ორშაბათს, ისეთ სურათს შევესწარი ჩვენი, თბილისის მერიის მომსახურების საბურთალოს სერვისცენტრში, მიცკევიჩის ქუჩაზე. აუცილებლად უნდა ვთქვა მწარე სიტყვები ამ სერვისცენტრის ზოგიერთ ადამიანობადაკარგულ, გულქვა მუშაკზე. კერძოდ, მენეჯერ ნანა მანიჟაშვილსა და დაცვად გამოყოფილ ლევან გოჩიაშვილზე, რომელთაც, როგორც ჩანს, ზოგჯერ ავიწყდებათ, რომ ადამიანები არიან და პატივი უნდა სცენ სხვა ადამიანს, მით უმეტეს, ხანდაზმულს, თუნდაც ამისთვის რაიმე დადგენილი წესის დარღვევა გახდეს საჭირო! სიკვდილის გარდაუვალობის გარდა, გამოსავლის პოვნა ყოველთვის შეიძლება, თუ, რასაკვირველია, საგულეში ადამიანური გული გვიცემს...

სერვისცენტრის შუაგულში შარვალჩასველებული ბერიკაცი იდგა თავისივე შარდის ტბორში და ცხარე ცრემლით ქვითინებდა... რა თქმა უნდა, გავიკითხეთ, რა ხდებოდა. წამლებისთვის თანხის გამოყოფის თაობაზე სერვისცენტრში მისულ მოხუცს, რომელსაც საბუთზე პოლიკლინიკას შეცდომით ნაცვლად „14 ივნისისა“ თარიღად დაუსვამს „16 ივნისი“, ოპერატორმა გოგონამ, სხვათა შორის, ზრდილობიანად განუმარტა მოხუცს, რომ საბუთს ამ სახით ვერ მიიღებდა. ამასობაში ბერიკაცს ტუალეტში შესვლა მოუნდა და დაცვის წარმომადგენელს, სრულიად ახალგაზრდა კაცს ლევან გოჩიაშვილს სთხოვა დახმარება, რაზეც მტკიცე უარი მიიღო. ხმაურზე გამოჩნდა მენეჯერი ნანა მანიჟაშვილიც, რომელმაც ვაიუშველებელი ატეხა, ჩვენს ცენტრში აურაცხელი ხალხი დადის და ყველამ თუ ტუალეტი მოითხოვა, არ გამოვა, უცხო პირთა შესვლა აკრძალული გვაქვსო. იქნებ გამონაკლისი დაუშვათო, ეევედრებოდა ტუალეტის საძებნელად აქეთ-იქით მოძრავი ბერიკაცი, მაგრამ დაცვა და მენეჯერი ხელისკვრასაც არ მოერიდნენ, თანაც მიზეზად პანდემიას იშველიებდნენ. არადა, პირბადეები მხოლოდ იმის შემდეგ აიფარეს, მოთმინებადაკარგულმა მოხუცმა რომ უსაყვედურა, თუ პანდემიის პირობებს იცავთ, პირბადეები რატომ არ გიკეთიათო...

ანუ რატომ ტიროდა ბერიკაცი მერიის მომსახურების საბურთალოს სერვისცენტრში

ერთი სიტყვით, ამ ჯაჯგურჯაჯგურში ბერიკაცი თავისი შარდის გუბეში აღმოჩნდა და შერცხვენილი მწარედ აქვითინდა. აშკარად ეტყობოდა, რომ თავმოყვარეობა შეულახეს იქ, სადაც ადამიანთა, ძირითადად ასაკოვანთა, გულისხმიერი მომსახურება ევალებათ, თუნდაც გარკვეული აკრძალვის პირობებში, მით უმეტეს, როცა საქმე მოხუც ადამიანებს ეხება...

ცენტრიდან გამოსულიც კიდევ კარგ ხანს ვფიქრობდი იმ ადამიანების გულცივობასა და გულქვაობაზე, რომელთაც თავიანთ მიერვე მოგონილი ესა თუ ის წესი ურყევი კანონი ჰგონიათ.

ჩემი აზრით, ასეთ ცენტრებში უფრო კეთილი, გულისხმიერი ადამიანები უნდა მუშაობდნენ.

გურამ წიკლაური

საავტორო უფლებებს წესიერი პატრონი არ ჰყავს?!

ხელოვნების **სფეროს წარმომადგენლები საავტორო უფლებებთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის კულტურის კომიტეტს წერილით მიმართავენ და შესაბამის საკანონმდებლო ცვლილებას ითხოვენ. ამის შესახებ მათ ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადეს.**

წერილს ხელს აწერენ ავტორები, რომლებიც 2019 წლამდე გაერთიანებული იყვნენ საავტორო უფლებათა ასოციაციაში, რომელიც „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის შესაბამისად კოლექტიურ საფუძველზე მართავდა მათ უფლებებს. მათი თქმით, წლების განმავლობაში გაურკვეველი იყო, რა პრინციპით ხდებოდა მათი ნაწარმოებების საჯარო შესრულებასთან დაკავშირებული ჰონორარების შეგროვება და განაწილება.



ამასთან, როგორც ისინი აღნიშნავენ, მსგავსი გაუმჭვირვალე პროცესი და ბევრი უპასუხო კითხვა ჰონორარების გამოთვლის პრინციპებთან დაკავშირებით გახდა იმის მიზეზი, რომ 2019 წლიდან მათ შეწყვიტეს თანამშრომლობა აღნიშნულ ორგანიზაციასთან და ამავე წლიდან ქონებრივი უფლებების მართვა მიანდეს სხვა ორგანიზაციას.

კოლექტიურ მიმართვაზე ხელმომწერი ავტორების თქმით, ამ ასოციაციას აქვს შესაბამისი ინტელექტუალური და ტექნოლოგიური რესურსები, რომ უზრუნველყოს ჰონორარების შეგროვება და განაწილება გამჭვირვალე და სამართლიანი მეთოდით.

„პარლამენტში შეგვაქვს წერილი ჩვენი უკმაყოფილების. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონში ბუნდოვანებაა. ავტორების უფლებები არ არის გამჭვირვალე და კარგად დაცული. სწორედ ამიტომ წამოვედით იმ ორგანიზაციიდან ორი წლის წინ და ორი წლის განმავლობაში ჩვენი თანხები ირიცხებოდა იმავე ორგანიზაციაში, რომლის მუშაობითაც უკმაყოფილო ვართ. თანხები არის აბსოლუტურად გაურკვეველი, ჩვენამდე არ მოსულა. ამ ორგანიზაციიდან გამოვედით 400-მდე ავტორი და ვართ ჰაერში. თანხები არ ერიცხება იმ კომპანიას, ვისაც ვენდობით. გვინდა, რომ პარლამენტმა შეიტანოს სინათლე და მოვუსმინოთ ავტორებს, მათ სურვილს, რადგან მგონია, რომ უზენაესი ამ შემთხვევაში ავტორები არიან, როდესაც უფლებებზე არის საუბარი“, — განაცხადა დათო ევგენიძემ.

ამასთან, პრესკონფერენციაზე მივიდა საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილე **მირიან კულულაშვილი.** მისი თქმით, ხელოვნების სფეროს წარმომადგენლების ქონებრივი უფლებების მართვა მხოლოდ ერთ ორგანიზაციას აქვს და აღნიშნა, რომ სფეროში ერთზე მეტი ორგანიზაციის დაშვება კოლექტიური მართვის სისტემის მოშლას გამოიწვევს. საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილის ამ განცხადებას გამოეხმაურა დათო ევგენიძე.

„არ მგონია, ესეც კორექტული იყოს, როდესაც ავტორები ვაკეთებთ პრესკონფერენციას და დაუპატიჟებელი ადამიანი მოდის, ხელს გვიშლის. ეს აჩვენებს, როგორ მუშაობს კომპანია“, — განაცხადა დათო ევგენიძემ. კოლექტიურ მიმართვაზე ხელმომწერი ავტორები მზადყოფნას აცხადებენ, რომ ნებისმიერი ფორმით მიიღონ მონაწილეობა აღნიშნული საკითხის განხილვაში, სიტუაციის გაუმჯობესების პროცესში და იმედს იტოვებენ, რომ კულტურის კომიტეტი უმოკლეს ვადაში შესთავაზებს ვითარების გამოსწორების გზებს.

სანთელი

ეთერ სვანიძე

„ჩაჩავას კლინიკა“ მწუხარებამ მოიცვა... ბოლო წუთამდე იმედს არ ვკარგავდით. შენ ხომ არ მოგკლებია ყურადღება, სითბო და სიყვარული, შვილებისგან და ახლობლებისგან, მაგრამ ვაი, რომ ვერაგი სიკვდილი მოგერია...

სამი ათეული წელია, რაც ჩაჩავაში მუშაობდი მთავარ ეკონომისტად, იყავი მაღალი პროფესიონალი, შენი საქმის მცოდნე სპეციალისტი, დაუზარელი და ჩუმად აკეთებდი საქმეს. ყველას მიმართ იყავი ყურადღებიანი, თავაზიანი, კეთილი ადამიანი, გულისხმიერი მეგობარი, ღირსეული ოჯახის თავდადებული მეუღლე და მზრუნველი დედა.

მთელი ცხოვრება გვემახსოვრები ჩვენო ეთერ, შენი გულთბილი, ღიმილიანი დახვედრით. წახვედი და საოცრად გვატკინე გული შენს მეგობრებს, ანამშრომლებს...

ნათელში ამყოფოს ღმერთმა შენი ლამაზი სული, მსუბუქი იყოს შენთვის სამშობლოს მიწა.

ჩაჩავას კლინიკის თანამშრომლები

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის 1974 წლის კურსდამთავრებულები მწუხარებით იუწყებიან თანაკურსელის, შესანიშნავი პროფესიონალის, უღალატო მეგობრის, დიდებული მეოჯახის, სათნოებითა და სიკეთით გამორჩეული ქალბატონის

ეთერ სვანიძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის მეუღლეს, ასევე ჩვენს თანაკურსელს ბადრი სვანიძეს, შვილებს დათოსა და ზურაბს, შვილიშვილებს, მულს მანანას და სვანიძეების მთელ სანათესაოს.

სანთელი

საქართველოს მეგზევეთა საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საგზაო დარგის ღვაწლმოსილი მუშაკი, ხიდების და ხელოვნური ნაგებობების მშენებელ-ინჟინერი, საქართველოს დამსახურებული მეგზევე

ოთარ ბაგრატის-ძე სარალიძე

და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

საქართველოს მეგზევეთა საზოგადოება

სს „ელექტრონიკა - 94“-ის განცხადება

ს/ს „ელექტრონიკა-94“-ი ატარებს აქციონერთა საერთო კრებას ა. წ. 8 ივლისს დღის 16 საათზე. მისამართი: კ. გამსახურდიას №14.

დღის წესრიგი:

2019 წლის 31 დეკემბრიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, სამეურნეო ანგარიში.

მომხს. გ. ჩიქოვანი

დაზუსტება

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 14-15 ივნისის ნომერში გამოჩენილი ჟურნალისტის **მელორ სტურუასადმი** მიძღვნილ წერილში „**ახდენილი ოცნება**“ გაიპარა დასანანი უზუსტობა: **მარინა ჯანგიძის** ნაცვლად წერია **მარინა ჯანელიძე.**

რედაქცია ბოდიშს უხდის მელორ სტურუას ნათესავებს ამ უნებლიე უზუსტობისთვის.

უკანონოდ გასხვისებული ბავშვი ოჯახს დაუბრუნდა

სიღარიბის გამო ბავშვების ოჯახისგან დაშორება სასამართლომ უკანონოდ ცნო. შესაბამისი სარჩელი სასამართლოში „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“-PHR-მა შეიტანა, რომელიც სასამართლომ დააკმაყოფილა.

„თბილისის საქალაქო სასამართლომ უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო. სიღარიბის გამო მინდობით აღზრდაში ბავშვების გადაყვანა და ოჯახთან დაცილება უკანონოდ ცნო და დაზარალებულ სამ ბავშვს მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნით 35 000 ლარი მიაკუთვნა.

ბავშვები, 2 წლის წინ, სოციალურმა სამსახურმა უკანონოდ, ოჯახის გაძლიერების გარეშე, გამოიყვანა სახლიდან და დედას დააცილა. ბავშვებმა ორი წელი მშობლისგან მოშორებით გამოწვეული სტრესის ქვეშ იცხოვრეს. ეს გარემოება სასამართლომ მიიჩნია უკანონოდ და დააკმაყოფილა PHR-ის სარჩელი.

საქმე განიხილა მოსამართლე დავით წერეთელმა.



◎ მერაბის ზარი

ქვით ფერწერი

მერაბ ბერძენიშვილის ხელოვნებამ მიქელანჯელოს სიტყვები გამახსენა: „ძვის გაცოცხლება ცეცხლის ხვედრია, გრძელდება ძვასთან პაექრობა, ისმის ხახუნი, რომ ცეცხლით იშვას სიყვარული ჯერ არ ნახული“.

და მართლაც, მერაბის ქვასთან პაექრობამ, ნიჭიერების ცეცხლმა აამეტყველა ხაზი და ფერწერული გახადა იგი. მერაბის ხელოვნებას ქვით ფერწერას დავარქმევდი, ყოველი მისი ქანდაკება ცოცხლობს. მე კარგად მესმის ევას და ადამის სასიყვარული ჩურჩული, მშვენიერების სიმბოლოდ ქცეულა მისი „მუზა“; სიბრძნეს და მორიდებულობას გამოხატავს „შოთა რუსთაველი“, „სულხან-საბა“; საოცარია „დავით გურამიშვილი“. თავისი დახვეწილობით აქ ხაზის დიდებული ზეიმია, არ შემკრთალა ქართველი ქალი, ისევ გაუზრდის ქვეყანას ვაჟკაცებს; როგორ წუხს თავის ტრაგიკულ ბედს „მედეა“. ქეთევანის წამება მერაბის ნიჭით გმირობად ქცეულა, საოცარია მისი „მზეჭაბუკი“, ცხენზედ ანაზდად მჯდომი, ქართული სულის ძახილით მთელი ქანდაკება მოძრაობაში აღიქმება. ვინ თქვა, რომ იგი მეფე არ არის?! შენს მზეჭაბუკს არ სჭირდება თავზე გვირგვინი. თავად ის და მისი ცხენიც ეს საქართველოს გვირგვინია.

აგერ ცხენზე ამხედრებული დავით აღმაშენებელი, ასე რომ შეაშინა უღირსნი ამა ქვეყნისანი. მათ „გიორგი სააკაძის“ ცხენის ჭიხვინიც აშინებთ, აშინებთ „გამარჯვების მაცნეც“ და აი, იმძლავრა შიშმა, შურმა, უზნეობამ, ბოროტებამ, უვიცობამ და ქმნეს საქმე სამარცხვინო: ააფეთქეს „გამარჯვების მემორიალი“. მახსენდება პეტრიწის სიტყვები: **„უმეცრება არს სენი, მაგრამ უმეცრება უმეცრებათა არს სენი უფრო უფიცხესი“**.

მერაბი წერდა, რომ მისი ხმა სოფელს არ სწვდება; ბავშვობაში სკოლის კარებზე მის მიერ დაკიდებულ ზარს გულმოდგინედ უვლიდა. ამ ზარის ხმა დღესაც გვესმის და მისი მთელი ხელოვნება ამ ზარის გამოძახილია.

ლონდა მდივანი

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გერმანულენოვანი ონლაინ ლიტერატურული ფესტივალი მწერალთა სახლში

მწერალთა სახლში, 24-27 ივნისს, გერმანულენოვანი ონლაინ ლიტერატურული ფესტივალი გაიმართება. ფესტივალი სახელწოდებით „საქართველოს პირველი რესპუბლიკა-1918-1921. ისტორია. ლიტერატურა. ხელოვნება“ ბერლინის ლიტერატურის სახლის, Lettretage-სთან თანამშრომლობითა და „თბილისი-წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ ხელშეწყობით გაიმართება.

„ფესტივალი ეძღვნება საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის წლებში მიმდინარე ლიტერატურულ, კულტურულ და პოლიტიკურ პროცესებს, ქართულ-გერმანულ ურთიერთობებს, 1921 წლის რუსული ოკუპაციიდან 100 და საქართველოს დამოუკიდებლობის ხელახლა მოპოვებიდან 30 წლისთავს. ფესტივალის დისკუსიების მთავარი თემა იქნება სტალინური რეპრესიების მემკვიდრეობა, საბჭოთა ეპოქა, ცენზურა, ბოლო 30 წლის კულტურული პროცესები, ორსაუკუნოვანი ქართულ-გერმანული ურთიერთობები, სოციალიზმი ლიტერატურასა და პოლიტიკაში, ქართული ავანგარდი და გერმანიაში გამოცემული ახალი თარგმანები.

პროგრამაში მონაწილეობენ ქართველი და გერმანელი მწერლები, გამომცემლები, მხატვრები, მსახიობები, მუსიკოსები, ლიტერატურის კრიტიკოსები, მეცნიერები, ჟურნალისტები და შეფმზარეულები.

ქართველ მონაწილეებს მოდერაციას გაუწევენ წამყვანი გერმანული მედიაგამოცემების ჟურნალისტები და ლიტერატურის კრიტიკოსები ტილმან შპრეკელსენი (FAZ), დორის აკრაპი (taz), კორნელია ცეჩე (Beyerischer Rundfunk) და ა.შ. პროგრამის სპეციალური სტუმარია ცნობილი გერმანელი მსახიობი, ულრიხ ნოეთენი. ფესტივალი მიმდინარე წლის თებერვალში, მწერალთა სახლისა და British Library-ს მიერ ჩატარებულ ფესტივალ Georgia's Fantastic Tavern-ის ერთგვარი გაგრძელებაა.

ევროკავშირში ვაქცინის 300 მილიონი დოზა გაისარჯა

„ევროკავშირში ვაქცინის 300 მილიონი დოზა გამოვიყენეთ. უფრო ვუახლოვდებით ჩვენს მიზანს: შემდეგ თვეში საკმარისი დოზები მივიღოთ ევროკავშირში ზრდასრული მოსახლეობის 70% -ის ვაქცინაციისთვის“, — განაცხადა ევროკომისიის პრეზიდენტმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა.

ევროკავშირში ზრდასრული ევროპელების 50%-ზე მეტმა ვაქცინის, სულ მცირე, ერთი დოზა მიიღო, ხოლო 100 მილიონი ევროპელი სრულად აცრილია.

მსოფლიოში ყველაზე დიდი ოჯახი დაობლდა

ინდოეთში, მიზორამის შტატში გარდაიცვალა კაცი, რომელიც მსოფლიოში ყველაზე დიდი ოჯახის პატრიარქად ითვლებოდა. 76 წლის ზიონა ჩანა რელიგიური სექტის ლიდერი იყო, რომელიც პოლიგამიას ემხრობოდა. მას 38 ცოლი, 89 შვილი და 36 შვილიშვილი ჰყავდა. არსებული ცნობებით, ჩანას დიაბეტი და ჰიპერტენზია აწუხებდა.

კაცი საკუთარ სახლში იყო, როცა ცუდად გახდა. ის კლინიკაში გადაიყვანეს, მაგრამ ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს.

ამასთან, არ არის დადასტურებული, რომ ჩანა მსოფლიოში ყველაზე დიდი ოჯახის უფროსი იყო, რადგან მისი ოჯახის წევრების ზუსტი რაოდენობა უცნობია. ერთ-ერთი წყაროს მიხედვით, მას 39 ცოლი, 94 შვილი, 33 შვილიშვილი და 1 შვილთაშვილი ჰყავდა.

ჩინეთში პატიმრებს შინაგან ორგანოებს აცლიან?..

გაეროს 12 ექსპერტის მიერ გაკეთებული დასკვნის მიხედვით, ორგანოების იძულებითი ამოღება ჩინეთში ეთნიკური, ენობრივი და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლების წინააღმდეგ ხორციელდება, რომლებსაც ხშირ შემთხვევაში არ ეუბნებიან დაკავების მიზეზს ან არ აჩვენებენ დაპატიმრების ორდერს.

ექსპერტების თქმით, ორგანოების ამოღება ძირითადად უიღურების, ტიბეტელების, მუსლიმანების, ქრისტიანების და მოძრაობა „ფალუნგუნის“ წევრების წინააღმდეგ ხორციელდება.

ორგანიზაციის ექსპერტების დასკვნის მიხედვით, პატიმრებისგან ძირითადად გულის, თირკმელების, ღვიძლის და თვალის რქოვანას ამოცლა ხორციელდება. დასკვნის გამოქვეყნებას გამოეხმაურა ჟენევაში ჩინეთის მისიის წარმომადგენელი, გაეროს ექსპერტები ცილისწამებაში დაადანაშაულა და აღნიშნა, რომ ისინი ანტიჩინური დეზინფორმაციის მსხვერპლნი გახდნენ.

სელფის გადაღების დროს ცათამბჯენიდან გადმოვარდა

სელფის გადაღების დროს, 21 წლის ყაზახეთის მოქალაქე, სტუდენტი გოგონა დიანა ბელორუკოვა „მოსკვა-სიტი“-ის 86-ე სართულიდან გადმოვარდა.

შენობის დაცვის თანამშრომელი აცხადებს, რომ ამ სართულზე მდებარე დასათვალიერებელ მოედანზე დაინახა ახალგაზრდა ქალი, რომელიც სწრაფად გადაძვრა არსებულ მოედნის მოაჯირის მიღმა, რათა ეფექტური სელფი გადაეღო, რა დროსაც ის მოწყდა და ძირს ჩავარდა. დიანა მოსკოვის ელექტრონული ტექნიკის ინსტიტუტის ბიომედიცინის სისტემების ფაკულტეტზე სწავლობდა.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 18 ივნისს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.2040; ევრო - 3.8829;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.5164;
100 რუბლი - 4.4320; თურქული ლირა - 0.3837;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8830;
1000 სომხური დრამი - 6.1966.

ამინდი 16 ივნისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+14,	დღე	+34
მთიანი რაიონები -	ღამე	+10,	დღე	+31
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+14,	დღე	+28
მთიანი რაიონები -	ღამე	+12,	დღე	+33
თბილისი:	ღამე	+21,	დღე	+34

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge